

სიმონ გელაშვილი

საზღვარგარეთის ქვეყნების
სტატისტიკა

თბილისი

2014

უაკ (UDC) 311 :

ბ.

წინამდებარე სახელმძღვანელოში განზოგადებულია ამერიკის, ევრაზიის, აფრიკისა და ავსტრალიის კონტინენტების ცალკეული ქვეყნების სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია და პრაქტიკა. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია განვითარებული ქვეყნების სტატისტიკის ისტორიულ ევოლუციაზე, ასევე ოფიციალური სტატისტიკის პრინციპებზე, ორგანიზაციულ მოწყობაზე, ძირითად ფუნქციებზე და ამოცანებზე, საერთაშორისო თანამშრომლობაზე, სტატისტიკური ინფორმაციის მიღება-დამუშავების სქემებზე და სტატისტიკური გამოკვლევების პროგრამულ-მეთოდოლოგიურ საკითხებზე.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა მკითხველისათვის.

რედაქტორი: ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ქეთევან მარშავა

რეცენზენტები: ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი მარინე მინდორაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი ნინო აბესაძე

იბეჭდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით (ოქმი №3, 25.07.2013).

ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წიგნის ან მისი ნაწილების ნებისმიერი ნაბეჭდი სახით ასლების გამრავლება და გაგრძელება. ამ წესის დარღვევა ისჯება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

© სიმონ გელაშვილი, 2014

© გამომცემლობა „უნივერსალი“, 2014

ISBN

შ ი ნ ა ა რ ს ი

თემა 6. ოფიციალური სტატისტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში

6.1. მთავარი სტატისტიკური სააგენტოები და მათი ვალდებულებები - - - - - 162
6.2. სტატისტიკური სააგენტოების პრინციპები და ინსტრუქციები - - - - - 164
6.3. სტატისტიკური პოლიტიკის დირექტივები და სტანდარტები - - - - - 166
6.4. სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი - - - - - 167
6.5. თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენება აშშ-ში მონაცემების ხარისხისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად - - - - - 168
6.6. ტესტები - - - - - 171

თავი 7. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოშობა და განვითარება რუსეთში

7.1. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია -171
7.2. სახელმწიფო სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია რუსეთის ფედერაციაში - - - - - 171
7.3. ფედერალური კანონი „ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის შესახებ რუსეთის ფედერაციაში” - - - 171
7.4. სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის ქვესაუწყებო ორგანიზაციები - - - - - 171
7.5. რუსეთის ფედერალური სტატისტიკური სამსახურის საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - - 171
7.6. რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის განვითარების კონცეფცია 2011-2017 წლებისათვის - - - - - 171
7.7. ტესტები - - - - - 171

თემა 8. ოფიციალური სტატისტიკის ევოლუცია და მისი თანამედროვე ორგანიზაცია იაპონიაში

8.1. თანამედროვე სტატისტიკური სისტემის ფორმირების დასაწყისი - - - - - 176
8.2. იაპონიის სტატისტიკური სისტემის რეკონსტრუქცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ - - - - - 177
8.3. სტატისტიკის შესახებ კანონის რევიზია და სტატისტიკური სისტემის რეფორმირება - - - - - 180
8.4. სტატისტიკის დღე იაპონიაში და მისი დაწესების მთავარი მიზეზი - - - - - 182
8.5. სტატისტიკის ორგანიზაციის ზოგადი სისტემა იაპონიაში - - - - - 183
8.6. მთავრობის საკოორდინაციო მექანიზმი სტატისტიკის სისტემაში - - - - - 184
8.7. სტატისტიკის მწარმოებელი მთავარი სამთავრობო ორგანიზაციები - - - - - 185
8.8. ადგილობრივი სტატისტიკური ორგანიზაციები და მათი წარმოშობა - - - - - 189

8.9. სტატისტიკური ფუნქციების დანაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის - - - - -	190
8.10. სტატისტიკის ნუმერატორები (აღმრიცხველები, რეგისტრატორები) და მათი მოვალეობები - - - - -	193
8.11. იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ კავშირში - - - - -	194
8.12. ტესტები - - - - -	197
გამოყენებული ლიტერატურა - - - - -	280

თემა 6. ოფიციალური სტატისტიკა ამერიკის შეერთებულ შტატებში

6.1. მთავარი სტატისტიკური სააგენტოები და მათი ვალდებულებები

ფედერალურმა სტატისტიკურმა სააგენტოებმა (ან ერთეულებმა), რომელთა ძირითადი ფუნქციაა სტატისტიკური მიზნებისთვის ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გავრცელება, თავად ჩამოაყალიბეს ინფორმაციის მეცნიერული მთლიანობის მაღალი სტანდარტი. ქვემოთ ჩამოთვლილი სააგენტოები განსაზღვრული არიან როგორც ამერიკის შეერთებული შტატების “მთავარი სტატისტიკური სააგენტოები”:

- ეკონომიკური ანალიზის ბიურო (ვაჭრობის დეპარტამენტი);
- იურიდიული სტატისტიკის ბიურო (იურიდიული დეპარტამენტი);
- სამუშაო ძალის სტატისტიკის ბიურო (შრომის დეპარტამენტი);
- გადაზიდვების სტატისტიკის ბიურო (გადაზიდვების დეპარტამენტი);
- აღწერის ბიურო (ვაჭრობის დეპარტამენტი);
- ეკონომიკური კვლევების სამსახური (სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტი);
- ენერგორესურსების შესახებ ინფორმაციის მართვის ადმინისტრაცია (ენერგორესურსების დეპარტამენტი);
- ეროვნული სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის სამსახური (სასოფლო-სამეურნეო დეპარტამენტი);
- განათლების სტატისტიკის ეროვნული ცენტრი (განათლების დეპარტამენტი);
- ჯანმრთელობის სტატისტიკის ეროვნული ცენტრი (ჯანმრთელობისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი);
- მეცნიერებისა და ინჟინერიის სტატისტიკის ეროვნული ცენტრი (ეროვნული მეცნიერების ფონდი);
- კვლევის, განვითარებისა და სტატისტიკის ოფისი (სოციალური დაცვის ადმინისტრაცია);
- შემოსავლების განაწილების სტატისტიკა (სახაზინო დეპარტამენტი).

საერთოდ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების ოფიციალური უფლება აქვს აშშ-ის 70-მდე სახელმწიფო უწყებას (დეპარტამენტები, სააგენტოები და სხვ.) აღნიშნულ სააგენტოებზე ვრცელდება საერთო პროფესიული სტანდარტები და საოპერაციო პრაქტიკა, რომელიც შემუშავებულია მათი სტატისტიკური საქმიანობის ხარისხის, მთლიანობისა და სანდოობის უზრუნველსაყოფად. ამ პროფესიული სტანდარტების დანერგვა გულისხმობს მმართველობითი და ტექნიკური გამოწვევების ფართო წრეს ².

ამერიკელი ხალხი ეყრდნობა ობიექტური და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის ნაკადს მთავრობის, ფირმების, შინამეურნეობებისა და სხვა

² Fundamental Responsibilities of Federal Statistical Agencies and Recognized Statistical Units.

ორგანიზაციების გადაწყვეტილებების ხელშეწყობის საქმეში. ფედერალური სტატისტიკური სისტემისა და მისი პროდუქტების მიმართ ნდობის მცირე დანაკარგიც კი ბადებს ეჭვს იმ საშუალებების უტყუარობის შესახებ, რომელსაც ამერიკელები იყენებენ სამეთვალყურეოდ, მიმდინარე მდგომარეობისა და პროგრესის შესაფასებლად ².

ქვემოთ მოტანილ ცხრილში მოცემულია აშშ-ის ზოგიერთი ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებელი:

ცხრილი 6.1. აშშ-ის ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2005	2010
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი) მათ შორის:	296,000,0	308,745,5
2.	ქალები	142,566,5	151,741,3
3.	მამაკაცები	153,433,5	156,964,2
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მლრდ დოლარი)	12,564	14,447
5.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	42 446	46 784
6.	უმუშევრობის დონე, %	5,1	9,6

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ აშშ-ის შრომისა და ვაჭრობის დეპარტამენტების ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, აშშ-ის მოსახლეობის რიცხოვნობა 2005-2010 წლებში მნიშვნელოვნად (12,8 მილიონით) გაიზარდა, ანუ საშუალო წლიურმა მატებამ შეადგინა 2,6 მილიონი. თუ ამ მაჩვენებელს განვიხილავთ სქესობრივ ჭრილში, აღმოჩნდება, რომ ეს მოხდა უმეტესად ქალების ხარჯზე, რადგან მათი რიცხოვნობა იმავე პერიოდში გაიზარდა დაახლოებით 9 მილიონით, ხოლო მამაკაცების რიცხოვნობა კი - დაახლოებით 3,5 მილიონით.

² Guidance on Agency Survey and Statistical Information Collections ((www.fedstats.sites.usa.gov)).

6.2. სტატისტიკური სააგენტოების პრინციპები და ინსტრუქციები

ახალი გამოწვევების საპასუხოდ, ეროვნული კვლევების საბჭომ (NRC) ოფიციალური სტატისტიკის სრულყოფისათვის მოამზადა და გამოსცა შემდეგი პრაქტიკული სახელმძღვანელო: “ფედერალური სტატისტიკური სააგენტოს პრინციპები და ინსტრუქციები”, სადაც მოცემულია სტატისტიკური პოლიტიკის მთავარი დირექტივები.

მთავარი სტატისტიკური სააგენტოები ამ გამოცემას იყენებენ იმისათვის, რათა მართონ სტრატეგიული გეგმები, ყოველდღიური ოპერაციები და ორმხრივი ურთიერთობები (ინტერაქციები) დაინტერესებულ მხარეებთან. მთავარი სტატისტიკური სააგენტოებისთვის მოქმედებს ოთხი მთავარი პრინციპი, რომელთა შესახებ მკაფიოდ არის მითითებული აღნიშნული სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემაში. ესენია:

პრინციპი 1: ფედერალურმა სტატისტიკურმა სააგენტომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის რელევანტური, ობიექტური ინფორმაცია;

პრინციპი 2: ფედერალურ სტატისტიკურ სააგენტოს აუცილებელია გააჩნდეს ნდობა მისი მონაცემებისა და ინფორმაციის მომხმარებლების მხრიდან;

პრინციპი 3: ფედერალური სტატისტიკური სააგენტო უნდა ენდობოდეს ინფორმაციის მომწოდებლებს;

პრინციპი 4: ფედერალურ სტატისტიკურ სააგენტოს მთავრობაში დამოუკიდებლობის მყარი პოზიცია უნდა ეჭიროს.

რომელიმე ამ პრინციპის განხორციელებული ან წინასწარ განზრახული დარღვევა ძირს უთხრის მთავარი სტატისტიკური სააგენტოების მიერ წარმოებული მონაცემების მეცნიერულ მთლიანობას და საზოგადოებრივ ნდობას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ ეროვნული კვლევების საბჭოს პუბლიკაცია ხაზს უსვამს თითოეული სტატისტიკური სააგენტოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას. ეროვნული კვლევების საბჭოს დისკუსია დამოუკიდებლობის შესახებ მოიცავს:

- დამოუკიდებლობაში უნდა შედიოდეს სტატისტიკური სააგენტოს გამოყოფა მისი დეპარტამენტებისგან, რომლებსაც აქვთ პოლიტიკის გატარების ან კანონის ძალით მოქმედებების პასუხისმგებლობა.
- დამოუკიდებლობა უნდა მოიცავდეს პერსონალის ქმედებების კონტროლს, განსაკუთრებით კვალიფიცირებული, პროფესიონალი კადრების შერჩევასა და დანიშვნას, მათ შორის ზემდგომი აღმასრულებელი პერსონალისაც.
- დამოუკიდებლობაში უნდა შევიდეს სტატისტიკური სააგენტოს უფლებამოსილება მიიღოს პროფესიული გადაწყვეტილებები: შეგროვებული მონაცემების მასშტაბთან, შინაარსთან და სიხშირესთან დაკავშირებით; ინფორმაციის ანალიზსა ან გავრცელებასთან (განსაჯაროებასთან) დაკავშირებით; უფლებამოსილება წინმსწრები გაწმენდის გარეშე გამოაქვეყნოს სტატისტიკური ინფორმაცია.

- დამოუკიდებლობა ასევე უნდა გულისხმობდეს სტატისტიკური სააგენტოს შესაძლებლობას აკონტროლოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა, რომელიც გამოიყენება სტატისტიკური ინფორმაციის შესაგროვებლად, აკუმულირებისა და გასაგვრცელებლად. მით უმეტეს, რომ ასეთი კონტროლი არსებითია მჭიდრო კავშირის დასამყარებლად კანონებთან და რეგულაციებთან, რომლებიც დაპირებული კონფიდენციალობის ფარგლებში შეგროვებული მონაცემების სათანადო დაცვისათვის მოითხოვება.

მოთავრმა სტატისტიკურმა სააგენტოებმა ასევე ხელი მოაწერეს ინსტრუქციების კრებულს, რომელშიც სულ 11 ინსტრუქციაა. ისინი ეროვნული კვლევების საბჭომ განსაზღვრა როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შესაბამისი პრინციპების დაცვის საკითხში. ესენია:

ინსტრუქცია 1: მკაფიოდ განსაზღვრული და კარგად დანერგილი მისია;

ინსტრუქცია 2: უწყვეტი განვითარება უფრო მეტად ვარგისი მონაცემების ფორმირებისთვის;

ინსტრუქცია 3: არსებული მონაცემების წყაროებისა და ნაკლოვანებების შესახებ საჯარო გახსნილობა;

ინსტრუქცია 4: მონაცემების ფართო მასშტაბით გავრცელება;

ინსტრუქცია 5: თანამშრომლობა მონაცემების მომხმარებლებთან;

ინსტრუქცია 6: მონაცემების მომწოდებლებთან გულითადი და კარგი დამოკიდებულება;

ინსტრუქცია 7: ხარისხისა და ქცევის პროფესიული სტანდარტების ვალდებულება;

ინსტრუქცია 8: აქტიური კვლევითი პროგრამა;

ინსტრუქცია 9: პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;

ინსტრუქცია 10: შიგა და გარე განვითარების მძლავრი პროგრამა;

ინსტრუქცია 11: სხვა სტატისტიკურ სააგენტოებთან კოორდინაცია და თანამშრომლობა.

აქ მოტანილი თითოეული ინსტრუქცია მნიშვნელოვანია ინფორმაციის მეცნიერული მთლიანობის მიღწევისა და შენარჩუნებისთვის. მათი დანერგვის კონკრეტული დეტალები განსხვავდება სააგენტოების მიხედვით.

6.3. სტატისტიკური პოლიტიკის დირექტივები და სტანდარტები

ზემოთ განხილული პრინციპები და ინსტრუქციები მჭიდროდ არის დაკავშირებული მართვისა და საბიუჯეტო ოფისის (OMB), როგორც ფედერალური სტატისტიკური სისტემის კოორდინატორის როლის შემსრულებლის მიერ გამოშვებულ სტატისტიკური პოლიტიკის დირექტივებთან და სხვა სტანდარტებთან.

მართვისა და საბიუჯეტო ოფისის დირექტივები და სტანდარტები სპეციალურად შექმნილია იმისათვის, რათა დაიცვას და გაზარდოს ობიექტურობა, სარგებლიანობა და გამჭვირვალობა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად, თვით სტატისტიკური პროდუქტების და ასევე იმ პროცესების, რომლებიც გამოიყენება მათი გამოქვეყნებისა და გავრცელებისთვის². მაგალითად:

- **სტატისტიკური პოლიტიკის შესახებ დირექტივა (ნომერი 3)**, რომელიც გამიზნულია დაიცვას ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების ღირებულება დროის მიხედვით, იპოვოს ბალანსი დროსა და სიზუსტეს შორის, ხელი შეუშალოს ინფორმაციის ნაადრევ ხელმისაწვდომობას, რასაც შეუძლია ზეგავლენა იქონიოს ფინანსურ და სამომხმარებლო საქონლის ბაზრებზე და ბოლოს, დაიცვას არსებული განსხვავება სააგენტოების მიერ ნეიტრალური (აპოლიტიკური) სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებასა და პოლიტიკოსების მიერ მათ შემდგომ ინტერპრეტაციას შორის.
- **სტატისტიკური ხარისხის შესახებ დირექტივა (ნომერი 4)**, მოიცავს პროცედურების ჩამონათვალს, რათა უზრუნველყოს გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის შესაბამისობა ხარისხის სტანდარტებთან, რომელიც გულისხმობს ფართო საზოგადოებისთვის მიუკერძოებელ, პოლიტიკურად ნეიტრალურ და დროულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას.
- **სტატისტიკური კვლევების სტანდარტები და გაიდლაინები (ნომერი 5)** ქმნის დოკუმენტებს მნიშვნელოვანი ტექნიკური და მმართველობითი გამოცდილების შესახებ, რომელთა დაცვა და გათვალისწინება სავალდებულოა ფედერალური სააგენტოებისთვის. მათში მოცემულია საჭირო ხარისხის დონე და გასაწევი ძალისხმევა ყველა სტატისტიკური აქტივობისთვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ფედერალური მთავრობის ირგვლივ განხორციელებული სტატისტიკური აქტივობების და ამ აქტივობებს შორის თანამიმდევრობა და მუდმივობა.

1.4. სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხი

სტატისტიკური პრინციპები და ინსტრუქციები ასევე დაკავშირებულია ინფორმაციის ხარისხის აქტთან, რომელიც მართვისა და საბიუჯეტო ოფისისა და სხვა ფედერალური სააგენტოებისგან მოითხოვს ინფორმაციის ხარისხის, ობიექტურობის, სარგებლიანობისა და მთლიანობის მაქსიმიზაციას. ეს მოთხოვნა შეეხება ასევე საჯარო სტატისტიკურ ინფორმაციას. სახელმწიფო მასშტაბის ინფორმაციის ხარისხის გაიდლაინების შეთვისებისა და დანერგვისთვის თითოეულმა სტატისტიკურმა სააგენტომ:

² Standarts and Guidelines for Statistical Surveys. Statistical Programs and Standarts (www.fedstats.sites.usa.gov)

- უნდა შეასრულოს ვალდებულება, გამოიყენოს საუკეთესო ხელმისაწვდომი მეცნიერული სტატისტიკური მეთოდები;
- საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია, მოდელები და ანალიტიკური შედეგები დაუქვემდებაროს კვალიფიცირებული ექსპერტების დამოუკიდებელ გადასინჯვას;
- გაავრცელოს მონაცემები და ანალიტიკური პროდუქტები ამ მონაცემებისა და გამოყენებული მეთოდების შესახებ მაღალი ხარისხის გამჭვირვალობით, რათა კვალიფიცირებულ მესამე პირებს გაუადვილონ მათი რეპროდუქცია;
- უზრუნველყოს, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია იყოს ამომწურავი, მრავალმხრივი, ინფორმატიული და გასაგები.

6.5. თანამედროვე მეცნიერული მეთოდების გამოყენება აშშ-ში მონაცემების ხარისხისა და მთლიანობის უზრუნველსაყოფად

მთავარი სტატისტიკური სააგენტოების მიერ შეგროვილი, დამუშავებული და გაავრცელებული ინფორმაციის ხარისხის, ობიექტურობისა და სანდოობის მაქსიმიზაციაში დიდ როლს თამაშობენ მეცნიერული მეთოდები. მეცნიერული მეთოდების გამოყენების მიზანია ისეთი მოდელის შექმნა, რაც საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ სუბიექტური (ტენდენციური) მოდელები და მონაცემთა შემთხვევითი განაწილება, ალტერნატიული დასკვნებისა და საკითხების ფორმულირების ტიპის გავლენის შეფასების მიზნით. ზომები უნდა იყოს ნამდვილი და თვითწარმომშობი და ამ ზომებში ვარიაციათა ინტერპრეტაცია მონაცემთა წყაროების მიხედვით, მოითხოვს მათ თვისებათა მეცნიერულ ცოდნას. აშშ-ში ამ მიმართულებით წარმატებით იყენებენ თანამედროვე კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც მინიმუმამდე ამცირებენ როგორც ლოგიკურ, ისე არითმეტიკულ, ასევე შემთხვევით შეცდომებს.

განსხვავებული წყაროებიდან მონაცემთა კომბინირება, როგორცაა გამოკვლევები და ადმინისტრაციული ჩანაწერები, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ ფონზე, როდესაც ფედერალურ დონეზე მონაცემთა შეგროვების მცდელობები მონაცემთა უზრუნველყოფის მიზნით, პასუხისმგებელ პირთათვის ნაკლებად სასურველი ხდება. ეს მცდელობები მოითხოვს სტატისტიკურ მოდელირებას, როგორც ეს ხდება მცირე მასშტაბზე სტატისტიკის მომზადების შემთხვევაში, როცა გამოკვლევებიდან პირდაპირი შეფასება შეიძლება დაექვემდებაროს სერიოზულ სამოდელო შეცდომებს. ეს პროცედურები, განტოლებები და დაშვებები, რომლებიც ამ მოდელებს განსაზღვრავს, უნდა იყოს საჯაროდ ხელმისაწვდომი, რათა უზრუნველყონ, რომ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს აკურატული, ნათელი, სრული და არატენდენციური სახით. გარდა ამისა,

ფედერალური სტატისტიკური სააგენტოები იყენებენ კომპლექსურ სტატისტიკურ მეთოდებს იმ ინფორმაციისთვის, რომელიც განსაჯაროებულა იმ მიზნით, რომ დაცული იქნას ფედერალურ კვლევებზე პასუხისმგებელ პირთა შესახებ მონაცემების კონფიდენციალურობა ².

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური სრულყოფა და თამამი (ნოვატორული) მიდგომები მოითხოვს მეცნიერული მეთოდების გამოყენებას. კომპიუტერული მეცნიერების სპეციალისტები, დემოგრაფები, ეკონომისტები, გეოგრაფები, მათემატიკოსები, სოციოლოგები, სტატისტიკის მკვლევარები და სხვა მეცნიერები საჭიროებენ კვლევებიდან ან ადმინისტრაციული ხასიათის მონაცემებიდან მაღალი ხარისხის, ობიექტური სტატისტიკის წარმოებას. ასევე სხვადასხვა სფეროს ექსპერტები, როგორცაა მაგალითად, ეპიდემიოლოგები, ინჟინრები, ეკოლოგები და სხვ., ასევე საჭიროებენ მონაცემთა ხარისხის მაქსიმიზაციას. შესაბამისი კვლევა და მეთოდოლოგიური ინოვაცია გამუდმებით უნდა სრულყოფდეს მონაცემების ხარისხსა და მოქმედების მასშტაბს და ამავდროულად იცავდეს კერძობას და უზრუნველყოფდეს კონფიდენციალურობას. ყველა ზემოხსენებული ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია ფედერალური სტატისტიკური სააგენტოების სანდოობის გარანტირებისთვის.

მაშასადამე, ზემოთ განხილული პრინციპები და ინსტრუქციები, სტატისტიკური პოლიტიკის დირექტივები და სტანდარტები და ინფორმაციის ხარისხის გაიდლაინები ქმნის ინფორმაციის მეცნიერული მთლიანობის მიღწევისა და შენარჩუნების საფუძველს მთავარ სტატისტიკურ სააგენტოებს შორის და მათ შიგნით. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტის ეკონომიკური ანალიზის ბიუროს საქმიანობა. იგი მოიპოვებს მრავალმხრივ სტატისტიკურ ინფორმაციას, ამუშავებს მას და იყენებს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებისა და ანალიზისათვის, კერძოდ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის სატელიტურ ანგარიშებს, საგადასახდლო ბალანსს, საგარეო ვაჭრობას, საერთაშორისო ინვესტიციებს, ინდუსტრიის განვითარებას და სხვ ².

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ასახავს აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობების თანამედროვე მდგომარეობას, ანუ 2000-2012 წლებისათვის:

² Order Providing for the Confidentiality of Statistical Information. Office of Management and Budget. Federal Register, Vol. 62, No 124. June, 1997.

² U.S. Department of Commerce. Bureau of Economic Analysis (www.fedstats.sites.usa.gov).

**ცხრილი 6.2. საქართველოსა და აშშ-ს შორის სავაჭრო ურთიერთობების
დინამიკა და სტრუქტურა**

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)	76,7	100	173,6	100	368,2	100	439,4	100
მათ შორის:								
ექსპორტი	7,1	9,31	26,7	15,41	187,2	50,85	226,2	51,48
იმპორტი	69,6	90,69	146,9	84,59	181,0	49,15	213,2	48,52

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც ცხრილში მოცემული მონაცემებიდან ჩანს, აშშ-სა და საქართველოს შორის ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 2012 წელს 2000 წელთან შედარებით თითქმის 6-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მეტად სასურველი ტენდენცია, რომ 2010 წლიდან საქართველოს აშშ-სთან დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს, ანუ ექსპორტის მოცულობა აჭარბებს იმპორტის სიდიდეს.

6.6. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია აშშ-ში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. რამდენი მთავარი სტატისტიკური სააგენტო ფუნქციონირებს აშშ-ში?

- ა) 10; ბ) 9; გ) 11; დ) 13.

3. პრაქტიკული სახელმძღვანელო “ფედერალური სტატისტიკური სააგენტოს პრინციპები და ინსტრუქციები” გამოსცა:

- ა) აშშ-ის ეროვნული კვლევების საბჭომ;
- ბ) აშშ-ის სტატისტიკის დეპარტამენტმა;
- გ) აშშ-ის ვაჭრობის დეპარტამენტმა;
- დ) აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა.

4. რამდენი მთავარი პრინციპი მოქმედებს აშშ-ში მთავარი სტატისტიკური სააგენტოებისთვის?

- ა) 6; ბ) 4; გ) 5; დ) 3.

5. რამდენ ინსტრუქციას მოაწერეს ხელი მთავარმა სტატისტიკურმა სააგენტოებმა მთავარი პრინციპების დასაცავად?

- ა) 6; ბ) 9; გ) 11; დ) 7.

6. აშშ-ში ფედერალური სტატისტიკური სისტემის კოორდინატორის როლის შემსრულებელია:

- ა) აშშ-ის ეროვნული კვლევების საბჭო;
- ბ) აშშ-ის აღწერის ბიურო;
- გ) მართვისა და საბიუჯეტო ოფისი;
- დ) აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი.

7. არსებული მონაცემების ნაკლოვანებების შესახებ საჯარო გახსნილობა მოცემულია ეროვნული კვლევების საბჭოს:

- ა) ინსტრუქცია 3-ში;
- ბ) ინსტრუქცია 5-ში;
- გ) ინსტრუქცია 6-ში;
- დ) არცერთში.

8. თანამშრომლობა მონაცემების მომხმარებლებთან მოცემულია ეროვნული კვლევების საბჭოს:

- ა) ინსტრუქცია 4-ში;

- ბ) ინსტრუქცია 7-ში;
- გ) ინსტრუქცია 5-ში;
- დ) არცერთში.

9. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება მოცემულია ეროვნული კვლევების საბჭოს:

- ა) ინსტრუქცია 7-ში;
- ბ) ინსტრუქცია 9-ში;
- გ) ინსტრუქცია 2-ში;
- დ) არცერთში.

10. მონაცემების ფართო მასშტაბით გავრცელება მოცემულია ეროვნული კვლევების საბჭოს:

- ა) ინსტრუქცია 2-ში;
- ბ) ინსტრუქცია 8-ში;
- გ) ინსტრუქცია 4-ში;
- დ) არცერთში.

11. ქცევის პროფესიული სტანდარტების ვალდებულება მოცემულია ეროვნული კვლევების საბჭოს:

- ა) ინსტრუქცია 7-ში;
- ბ) ინსტრუქცია 9-ში;
- გ) ინსტრუქცია 5-ში;
- დ) არცერთში.

12. აშშ-ის მოსახლეობის რიცხოვნობის მთლიანმა მატებამ 2005-2010 წლებში შეადგინა:

- ა) 6,455 ათასი; ბ) 12,746 მლნ; გ) 7,456 ათასი; დ) 8,400 ათასი.

13. აშშ-ის მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალოწლიურმა მატებამ 2005-2010 წლებში შეადგინა:

- ა) 1,849 ათასი; ბ) 1,979 ათასი; გ) 1,748 ათასი; დ) 2,549 ათასი.

14. აშშ-ის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 2010 წელს ქალების ხვედრიწილი ნაკლები იყო მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (პროცენტული პუნქტით):

- ა) 1,7-ით; ბ) 2,1-ით; გ) 1,9-ით; დ) 1,5-ით.

15. აშშ-ში მამაკაცების რიცხოვნობა 2010 წელს მეტი იყო ქალებზე:

- ა) 4,193 მილიონით;
- ბ) 6,171 მილიონით;
- გ) 5,223 მილიონით;
- დ) 2,174 მილიონით.

16. 2010 წელს აშშ-ის მშპ-ის საშუალო მოცულობამ ერთ ადამიანზე შეადგინა (აშშ დოლარი):

- ა) 46793;
- ბ) 68945;
- გ) 45007;
- დ) 49893.

17. 2010 წელს 2005 წელთან შედარებით, აშშ-ის მშპ-ის საშუალო მოცულობა ერთ ადამიანზე:

- ა) გაიზარდა 3347 დოლარით;
- ბ) შემცირდა 3347 დოლარით;
- გ) გაიზარდა 4347 დოლარით;
- დ) დაახლოებით იგივე დარჩა.

18. 2010 წელს აშშ-ში უმუშევრობის დონე საფრანგეთთან შედარებით იყო:

- ა) მაღალი;
- ბ) დაბალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

19. 2010 წელს აშშ-ში უმუშევრობის დონე იაპონიასთან შედარებით იყო:

- ა) დაახლოებით 2-ჯერ დაბალი;
- ბ) დაახლოებით 2-ჯერ მაღალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

20. 2005-2012 წლებში საქართველოდან აშშ-ში საქონლის ექსპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 2,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 8,5-ჯერ;
- გ) გაიზარდა 5,5-ჯერ;
- დ) უცვლელი დარჩა.

21. 2005-2012 წლებში საქართველოში აშშ-დან საქონლის იმპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 1,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 1,5-ჯერ;
- გ) შემცირდა 2,5-ჯერ;
- დ) გაიზარდა 2,5-ჯერ.

22. საქართველოსა და აშშ-ს შორის 2005-2012 წლებში ვაჭრობის მთლიანი მოცულობა:

- ა) გაიზარდა 2,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 3,6-ჯერ;
- გ) შემცირდა 3,0-ჯერ;
- დ) შემცირდა 2,6-ჯერ.

23. 2005-2012 წლებში საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში ექსპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 21,47 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 24,78 პუნქტით;
- გ) შემცირდა 21,29 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 21,14 პუნქტით.

24. 2005-2012 წლებში საქართველოსა და აშშ-ს შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში იმპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 36,07 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 31,47 პუნქტით;
- გ) შემცირდა 21,29 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 21,27 პუნქტით.

25. საქართველოს სავაჭრო ბალანსი 2010-2012 წლებში აშშ-სთან იყო:

- ა) უარყოფითი;
- ბ) დადებითი;
- გ) ნულოვანი;
- დ) არაშესადარისი.

თავი 7. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოშობა და განვითარება რუსეთში

7.1. სახელმწიფო სტატისტიკის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციის ისტორია რუსეთში იწყება მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, კერძოდ 1811 წლიდან. მაგრამ მანამდე, ანუ 1802 წლიდან არსებობდა სტატისტიკური ანგარიშების დეცენტრალიზებული პრაქტიკა ცალკეული გუბერნიების დონეზე, რასაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის მიერ გამოცემულმა უმაღლესმა მანიფესტმა. ამ მანიფესტით რუსეთის მინისტრებს დაევალა ყოველი წლის ბოლოს თავიანთი დარგების მიხედვით წერილობითი ანგარიშების მომზადება და სენატისთვის წარდგენა. ასეთი მოხსენებები კი მზადდებოდა გუბერნიებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე. რა თქმა უნდა, მასზე ბევრად უფრო ადრე ადგილი ჰქონდა სტატისტიკური ხასიათის პრაქტიკულ საქმიანობას, რაც გულისხმობდა სხვადასხვა სახის მონაცემების შეგროვებას მოსახლეობის რიცხოვნობასა და შემადგენლობაზე, კომლექსის (ოჯახების) ქონებრივ მდგომარეობაზე, სოფლის მეურნეობაზე, დანაშაულთა რაოდენობაზე და სხვ. პირველი ნაბეჭდი ეკონომიკურ-სტატისტიკური დოკუმენტი რუსეთში მომზადდა სენატის მდივნის **ივან კირილოვის (1689–1737)** მიერ მე-18 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში. მანვე 1734 წელს შექმნა ასევე იმ დროისათვის უნიკალური რუსეთის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეკონომიკური ატლასი,^x რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე გამოიყენებოდა. ი. კირილოვმა 1727 წელს დაასრულა კომპლექსური ხასიათის სქელტანიანი წიგნი ძალიან გრძელი სათაურით (შემოკლებით „**სრულიად რუსეთის სახელმწიფოს აყვავებული მდგომარეობა, იმპერატორ პეტრე დიდის მიერ . . .**“), რომელშიც გამოყენებული იყო დიდი მოცულობის ყველა ის სტატისტიკური ინფორმაცია, რაც კი იმდროინდელი რუსეთის სენატს გააჩნდა.

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **ვასილი ტატიშჩევს (1686–1750)**, რომელიც ეკატერინბურგის დამაარსებლად (1723 წელი) ითვლება. იგი იყო ასევე ურალის სახაზინო ქარხნების მმართველი. მასვე ეკუთვნის რუსეთში პირველი სამეცნიერო ნაშრომი მოსახლეობის აღრიცხვის ორგანიზაციის საკითხებზე, რომელიც დაასრულა 1742 წელს, მაგრამ გამოქვეყნდა მოგვიანებით – მხოლოდ 1761 წელს. ამ ნაშრომში მოცემული ძირითადი იდეები, როგორცაა მოსახლეობის აღრიცხვის ერთიანი სააღწერო ბლანკი, აღწერის ჩატარების მოკლე დრო, აღმწერთა კვალიფიკაცია და სხვ. შემდგომში ფართოდ დაინერგა სტატისტიკურ პრაქტიკაში.

ვ. ტატიშჩევის სტატისტიკური იდეები განავითარა უდიდესმა რუსმა მეცნიერმა **მიხეილ ლომონოსოვმა (1711–1765)**, რომელმაც სტატისტიკურ მონაცემთა

^x Возникновение и организационно-структурное оформление статистической деятельности в России (конец XVIII века – 20-е годы XIX века).

<http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru/about/history>

მოპოვებისათვის 1760 წელს შეიმუშავა ე. წ. „აკადემიური ანკეტა“^ე, რომელიც მოიცავდა 30 კითხვას. მისი საშუალებით შესაძლებელი იყო მდიდარი სტატისტიკური მონაცემების მიღება, რომლებიც კომპლექსურად ახასიათებდნენ როგორც ცალკეულ რეგიონებს, ასევე მთლიანად იმდროინდელ რუსეთს.

ისტორიულად რუსეთში პირველი სახელმძღვანელო სტატისტიკის თეორიასა და მეთოდოლოგიაში გამოიკვლია 1809 წელს **აკადემიკოს კ. გერმანის** ავტორობით (სახელწოდებით „სტატისტიკის საყოველთაო თეორია“), რაც უდიდესი წინგადადგმული ნაბიჯი იყო არა მხოლოდ რუსეთში, არამედ იმდროინდელ მსოფლიოშიც.

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიაში ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება 1811 წლიდან, როდესაც პოლიციის სამინისტროსთან შეიქმნა **სტატისტიკური განყოფილება**. მისი ძირითადი ამოცანა იყო იმდროინდელი რუსეთის მასშტაბით ინფორმაციის მიღება, დამუშავება და ანალიზი. მას ევალებოდა ასევე გუბერნიების, პროვინციების, ქალაქების შემოსავლებისა და ხარჯების მონაცემთა მიღება-დამუშავება, მათი განვითარების გეგმების შედგენაში მონაწილეობა და დამტკიცების შემდეგ მათი დაყვანა შესაბამისი ადმინისტრაციების დონეებზე.

1834 წლიდან რუსეთის ევროპული ნაწილის გუბერნიების ქალაქებში დაიწყო **სტატისტიკური კომიტეტების** შექმნა, მაგრამ ეს პროცესი ნელი ტემპებით მიმდინარეობდა: 1853 წლისათვის 49 გუბერნიიდან მხოლოდ 33-ში იყო შექმნილი ასეთი კომიტეტი. 1837 წელს დამტკიცდა გუბერნიების მიერ სტატისტიკის განყოფილებაში წარსადგენი წლიური სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, რომლებიც მონაცემთა უფრო გაფართოებულ სისტემას მოიცავდა და მათში ასახული იყო მოსახლეობის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობის და სხვა ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები.

1852 წლის 22 დეკემბერს რუსეთის იმპერატორის ბრძანებულებით შინაგან საქმეთა მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში შეიქმნა **სტატისტიკური კომიტეტი** (ყოფილი განყოფილების ბაზაზე), ხოლო 1858 წლის 4 მარტს იგი რეორგანიზებული იქნა და ჩამოყალიბდა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ **ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტად**. მას ევალებოდა შეეკრიბა და დაემუშავებინა ყველა ის მონაცემი ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და სამეურნეო საქმიანობაზე, რაც ესაჭიროებოდა მთავრობას. მას ექვემდებარებოდა გუბერნიების სტატისტიკის კომიტეტები და ასევე უფლება ჰქონდა მოეთხოვა და მიეღო სტატისტიკური ინფორმაცია სხვა სამინისტროებიდან. ცენტრალურ სტატისტიკური კომიტეტის ფუნქციებში შედიოდა ასევე პუბლიკაციების გამოცემაც სხვადასხვა კრებულების სახით. მისი პირველი მნიშვნელოვანი მოცულობითი პუბლიკაცია იყო 1852 წელს გამოცემული სტატისტიკური კრებული **„სტატისტიკური ცხრილები 1849 წლის**

^ე Возникновение и организационно-структурное оформление статистической деятельности в России (конец XVIII века – 20-е годы XIX века).

<http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru/about/history>

მონაცემების მიხედვით”. ამის შემდეგ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკური პუბლიკაცია იყო 2 ფუნდამენტური გამოცემა, რომელიც გამოქვეყნდა 1859 წელს. ესენია: 1) „საზოგადოებრივი წყობილება და ქალაქების მეურნეობა” და 2) „ქალაქ-დასახლებები რუსეთში”.^b

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით 1861 წლის ისტორიული რეფორმების შემდეგ (ბატონყმობის გაუქმება და სხვ.), მნიშვნელოვნად განვითარდა სახელმწიფო სტატისტიკის სისტემა რუსეთში. 1863 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტის ბაზაზე ამავე სამინისტროსთან შექმნა უფრო ფართო უფლებებისა და ფუნქციების სახელმწიფო სტატისტიკის ორგანო - **სტატისტიკური საბჭო და ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი**. ასეთი ორგანიზაციული ფორმით იგი ფუნქციონირებდა თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე.

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიაში ცალკე უნდა გამოიყოს საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდი. რუსეთის გასაბჭოების შემდეგ დაიწყო თვისებრივად ახალი ეტაპი სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიაში. საჭირო გახდა ცენტრალიზებული სტატისტიკური ორგანოს ფორმირება. 1918 წლის ივნისში ჩატარდა რუსეთის სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა, რომელმაც განიხილა „**დებულება სახელმწიფო სტატისტიკის შესახებ**”. ყრილობას ამ დოკუმენტის პროექტი წარუდგინა პ. ი. პოპოვმა, რომელიც გახდა რუსეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს პირველი უფროსი. 1918 წლის 25 ივლისის სახალხო კომისართა საბჭოს (რომელიც მთავრობის ფუნქციებს ასრულებდა) დეკრეტით შეიქმნა **რუსეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო**. 1927 წელს მოხდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რეორგანიზაცია: იგი შევიდა სახალხო კომისართა საბჭოში როგორც დამოუკიდებელი კომისარიატი (ანუ სამინისტრო) გადამწყვეტი ხმის უფლებით.^c ამით რუსეთის ისტორიაში სახელმწიფო სტატისტიკამ მიიღო უმაღლესი იურიდიული სტატუსი.

რუსეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო 1931 წლის დეკემბერში გარდაიქმნა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ **სახალხო-მეურნეობრივი ადრიცხვის ცენტრალურ სამმართველოდ**, რითაც გარკვეულწილად შემცირდა მისი იურიდიული სტატუსი. მაგრამ მისი სტატუსი ისევ მნიშვნელოვნად გაიზარდა 1948 წლიდან, როდესაც შეიქმნა მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, რომელიც ამ დასახელებით თითქმის 40 წელი ფუნქციონირებდა. იმავე 1948 წლიდან განახლდა სპეციალური ჟურნალის „**სტატისტიკური მოამბე**” გამოცემაც. ასევე, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სტრუქტურაში შეიქმნა 2 ახალი ქვედანაყოფი: სამეცნიერო-

^b Возникновение и организационно-структурное оформление статистической деятельности в России (конец XVIII века – 20-е годы XIX века).

<http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru/about/history>

^c Советский период деятельности органов государственной статистики России.

<http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru/about/history>

მეთოდოლოგიური საბჭო და სტატისტიკური მეთოდოლოგიის განყოფილება, რაც მეტად წინგადადგმული ნაბიჯი იყო სტატისტიკური სამუშაოების მეცნიერულ დონეზე ასაყვანად. 1987 წელს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო გარდაიქმნა **სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტად**, რომელიც ფუნქციონირებდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991 წელი).

1991 წლიდან 1999 წლამდე სახელმწიფო სტატისტიკის ცენტრალური ორგანიზაციული სტრუქტურა რუსეთში ფუნქციონირებდა იგივე სახელწოდებით, ანუ მას ერქვა **რუსეთის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი**. 1999 წლის დეკემბერში მას ეწოდა რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, მაგრამ როგორც იურიდიულად, ისე უფლება-მოვალეობებისა და ფუნქციების მიხედვით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა.

2004 წლის მარტში რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციაში მოხდა მორიგი ცვლილება: რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი გარდაიქმნა **სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალურ სამსახურად** (შემოკლებით „**რუსსტატი**“). ამჟამადაც იგი ამავე სახელწოდებით ფუნქციონირებს რუსეთის ფედერაციის მთავრობის ხელმძღვანელობით.

7.2. სახელმწიფო სტატისტიკის თანამედროვე ორგანიზაცია რუსეთის ფედერაციაში

თანამედროვე ეტაპზე რუსეთის ფედერაციაში ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია ცენტრალიზებულია და მას წარმოადგენს სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური (შემოკლებით „**რუსსტატი**“). იგი არის მსოფლიოში ერთ-ერთი დიდი და მრავალრიცხოვანი ოფიციალური სტატისტიკური სამსახური მრავალი შემადგენელი ქვეორგანიზაციებით. სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მთავარი ოფისი მდებარეობს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში. მისი ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

1. ადმინისტრაციული სამმართველო;
2. სტატისტიკური დაკვირვებისა და კონტროლის ორგანიზაციის სამმართველო;
3. კრებსითი (ნაერთი) სტატისტიკური სამუშაოების სამმართველო;
4. ეროვნული ანგარიშების სამმართველო;
5. ფასებისა და ფინანსების სტატისტიკის სამმართველო;
6. საწარმოთა სტატისტიკის სამმართველო;
7. სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო;
8. მშენებლობისა და ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო;
9. ვაჭრობისა და მომსახურების სტატისტიკის სამმართველო;
10. მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სტატისტიკის სამმართველო;
11. მოსახლეობისა და ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკის სამმართველო;

12. მოსახლეობის ცხოვრების დონისა და შინამეურნეობების სტატისტიკის სამმართველო;
13. საზღვარგარეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტატისტიკის სამმართველო;
14. საფინანსო-ეკონომიკური სამმართველო;
15. აღწერებისა და მთლიანი გამოკვლევების ჩატარების ორგანიზაციის სამმართველო;
16. ინფორმაციული რესურსებისა და ტექნოლოგიების სამმართველო;
17. ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველო.

თავის მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სამმართველო იყოფა განყოფილებებად და ყოველი მათგანი შედგება 3 და მეტი განყოფილებისგან. ბევრი მათგანი საკმაოდ დიდი სამმართველოა და შედგება 8 განყოფილებისგანაც კი (მაგალითად, ადმინისტრაციული სამმართველო, საწარმოთა სტატისტიკის სამმართველო და სხვ.).

სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალურ სამსახურს გააჩნია სხვადასხვა იერარქიული დონის მრავალრიცხოვანი რეგიონული ორგანიზაციები. რუსსტატის შემდეგ ესენია: ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, გუბერნიებისა და ოლქების სტატისტიკური სამსახურები (მათი რაოდენობაა 37). მათზე უფრო დაბალი იერარქიული დონეებია უკვე ქალაქებისა და რაიონების სტატისტიკის სამსახურები (სამმართველოები და განყოფილებები), რომელთა რიცხვიც რამდენიმე ასეულს შეადგენს.

სახელმწიფო სტატისტიკის რეგიონული ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციის მიზნით შექმნილია ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელთა რეგიონული საბჭოები. მთლიანად რუსეთის ფედერაციაში მათი რაოდენობა შეადგენს 7-ს.⁸

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური („რუსსტატი“) წარმოადგენს ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის მწარმოებელ და გამავრცელებელ ერთ-ერთ მძლავრ ორგანიზაციას მსოფლიოში. ამ ორგანიზაციის სტატისტიკური შესწავლის სფეროში მოქცეულია მრავალი მილიონი ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელთა შესახებაც ხორციელდება სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და გავრცელება. ამ კონტექსტში საინტერესოა ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ზოგად წარმოდგენას იძლევა რუსეთის ფედერაციაზე. ამისათვის მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

⁸ Подведомственные организации Федеральной Службы государственной статистики.

<http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru>

**ცხრილი 7.1. რუსეთის ფედერაციის ზოგიერთი დემოგრაფიული და
მაკროეკონომიკური მაჩვენებელი**

		2005	2013
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (მლნ. კაცი) მათ შორის:	143.8	143.3
2.	ქალები	77.1	77.0
3.	მამაკაცები	66.7	66.3
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მლრდ დოლარი)	831,146	2153,397
5.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	5771,9	15027,2
6.	უმუშევრობის დონე, %	7.1	5.5

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ რუსეთის სტატისტიკის ფიციალური მონაცემების საფუძველზე (იხ. www.gks.ru)

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის რიცხოვნობა 2005-2013 წლებში ხასიათდება შემცირების ტენდენციით (აღნიშნულ პერიოდში იგი შემცირდა ნახევარი მილიონით). ამასთან, უფრო მეტად შემცირდა კაცების რიცხვი (400 ათასით), ხოლო ქალების რიცხვი კი შემცირდა 100 ათასით.

7.3. ფედერალური კანონი „ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის შესახებ რუსეთის ფედერაციაში“

რუსეთის ფედერაციაში ამჟამად სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ფუნქციონირებას არეგულირებს ფედერალური კანონი „ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის შესახებ რუსეთის ფედერაციაში“. აღნიშნული კანონი მიღებულია რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ 2007 წლის 9 ნოემბერს და 2011, 2012 და 2013 წლებში მასში უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა. ^ე

^ე Федеральный закон „Об официальном статистическом учете и системе государственной статистики в Российской Федерации“. М. 2007, с. 1.

აღნიშნული კანონი შედგება სულ 9 მუხლისაგან; პირველ მუხლში განსაზღვრულია დასახელებული კანონის მიზანი და ობიექტი. კანონის ძირითადი მიზანია ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს და საზოგადოების ინფორმაციული მოთხოვნილებების უზრუნველყოფას სრული, სანდო, მეცნიერულად დასაბუთებული და თავისდროული სტატისტიკური ინფორმაციით სოციალურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ და სხვა საზოგადოებრივი პროცესების შესახებ.

ყურადღებას იქცევს კანონის მე-7 მუხლი „ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის პრინციპები“, სადაც მოცემულია 8 ძირითადი პრინციპი. ესენია: ^f

- 1) ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის სისრულე, სანდოობა, მეცნიერულად დასაბუთებულობა, თავისდროული წარდგენა და საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- 2) ოფიციალური სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებისა და პრინციპების შესაბამისი, მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური მეთოდოლოგიის გამოყენება, აგრეთვე ასეთი მეთოდოლოგიის ხელმისაწვდომობა;
- 3) ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირების მიზნით წყაროების რაციონალური შერჩევა და რესპონდენტებზე დატვირთვის შემცირება;
- 4) ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირების შესაძლებლობების უზრუნველყოფა როგორც მთლიანად რუსეთის ფედერაციის, ისე მისი სუბიექტებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით;
- 5) პირველადი სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფა ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვისა და მათი გამოყენების დროს;
- 6) ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის სუბიექტების შეთანხმებული მოქმედებები;
- 7) სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის ექსპლუატაციისა და მისი სხვა სახელმწიფო საინფორმაციო სისტემებთან თავსებადობის მიზნით, ინფორმაციული ტექნოლოგიების ერთიანი სტანდარტების გამოყენება;
- 8) ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციისა და ადმინისტრაციული მონაცემების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

^f Федеральный закон „Об официальном статистическом учете и системе государственной статистики в Российской Федерации“. М. 2007, с. 5.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კანონის მე-8 მუხლის შესახებ „ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის სუბიექტებისადმი პირველადი სტატისტიკური ინფორმაციისა და ადმინისტრაციული მონაცემების წარდგენა“, რომლის პირველ ნაწილში მოცემულია, რომ „ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის ფორმირებისათვის, რესპონდენტები ვალდებული არიან უსასყიდლოდ წარუდგინონ აუცილებელი პირველადი სტატისტიკური ინფორმაცია და ადმინისტრაციული მონაცემები ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვის სუბიექტებს, მათ შორის მონაცემები, რომლების შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას, კომერციულ საიდუმლოებას, გადასახადების გადამხდელთა შესახებ და სხვ“.⁸

პრინციპულად სხვა სამართლებრივი ნორმაა ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონში, სადაც პირველადი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა არის ნებაყოფლობითი და არა სავალდებულო, რის გამოც მრავალი საზოგადოებრივი პროცესის ამსახველი სტატისტიკა გარკვეული ზომით არასრული და არაზუსტია.

7.4. სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის ქვესაუწყებო ორგანიზაციები

სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის სისტემაში დღეისათვის ფუნქციონირებს რამდენიმე მძლავრი დამოუკიდებელი ქვესაუწყებო ორგანიზაცია. მათგან ერთ-ერთი ცნობილი და მნიშვნელოვანი სტრუქტურაა **სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**, რომელიც უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც არსებობს (შეიქმნა 1963 წელს და დაარსების დროს მას ეწოდებოდა **სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**.² მისი პირველი დირექტორი იყო ცნობილი მეცნიერი, პროფესორი **არონ ბოიარსკი**, რომელიც მთელი 15 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს (1963-1978 წწ). დაარსების პირველივე წლებში ინსტიტუტში გამოიყო კვლევის ძირითადი მიმართულებები და ფართოდ დაიწყო მათი პრაქტიკული რეალიზაცია. ესენი იყო: სტატისტიკის თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები, განსაკუთრებით შერჩევითი დაკვირვების მეთოდების კვლევა სხვადასხვა კონკრეტული სფეროებისთვის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების

⁸ Федеральный закон „Об официальном статистическом учете и системе государственной статистики в Российской Федерации“. М. 2007, с. 8.

² ანალოგიური ინსტიტუტი ფუნქციონირებდა საქართველოშიც 2001-2005 წლებში, რომლის დირექტორიც იყო ამ წიგნის ავტორი.

გამოყენება სტატისტიკურ ანალიზში და სხვ. ამავე ინსტიტუტში პროფ. ა. ბოიარსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა დემოგრაფიული სტატისტიკის ძლიერი სკოლა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სტატისტიკის ამ დარგის განვითარებაში არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც.

სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი სწრაფად განვითარდა და გაძლიერდა, რამაც ხელი შეუწყო მის ორგანიზაციულ გაფართოებას ტერიტორიულ ჭრილშიც და უკვე მალე შეიქმნა მისი განყოფილებები და ფილიალები სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ: 1965 წელს გაიხსნა ინსტიტუტის ლატვიის განყოფილება ქ. რიგაში, ხოლო 1970 წელს – უკრაინის ფილიალი ქ. კიევში. მათ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სხვადასხვა სპეციალური სტატისტიკური პრობლემების მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დამუშავების მიმართულებით.

წინა საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ფუნდამენტური მუშაობა განხორციელდა სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების, დაჯგუფების, განზოგადებისა და ანალიზის ავტომატიზებული სისტემის შესაქმნელად მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ეს იყო იმ დროისათვის პროგრესული ნაბიჯი გამოყენებით სტატისტიკაში. ასეთი სისტემები დაინერგა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც და, მათ შორის საქართველოში. ინფორმაციის დიდი მასივების რესურსების შექმნამ ხელი შეუწყო სტატისტიკის სხვადასხვა მიმართულებების განვითარებას ინსტიტუტში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეკონომიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური პროგნოზირების საკმაოდ ძლიერი სკოლის შესახებ, რომელმაც 1976 წელს შეიმუშავა მრეწველობაში ოპერატიული პროგნოზირების მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების სისტემა. მან შემდგომი განვითარება ჰპოვა და 1980-1985 წლებში შეიქმნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალო- და გრძელვადიანი პროგნოზირების მეთოდების კომპლექსი, რომელიც იყენებდა უკვე სახელმწიფო სტატისტიკის მონაცემთა ავტომატიზებულ ბანკებს. იმ დროისათვის დამუშავდა ეკონომიკის მრავალი დარგის, განსაკუთრებით მრეწველობისა და მშენებლობის სტატისტიკური პროგნოზები.

1978 წელს სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი პროფესორი მოისეი ეიდელმანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს 1990 წლის აგვისტომდე. აღნიშნულ პერიოდში ინსტიტუტში პრაქტიკულად დაიწყო მაკროეკონომიკური სტატისტიკის ფორმირება, ასევე გაძლიერდა დარგთაშორისო ბალანსებისა და დარგთაშორისო ურთიერთკავშირების ინტენსიური კვლევა. ამავე პერიოდში დამუშავდა ასევე მოსახლეობის რეპრეზენტატიული ტერიტორიული შერჩევის მეთოდიკა, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო მოსახლეობის შერჩევითი მიკროდწერების ჩატარებას, შინამეურნეობების ბიუჯეტების შერჩევით სტატისტიკურ კვლევებს, სოფლის მეურნეობისა და დასაქმების შერცევით სტატისტიკურ დაკვირვებებს და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როლი დემოგრაფიული სტატისტიკის განვითარებაში (პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის მასშტაბით). ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის საგანს წარმოადგენდა შობადობის, ქორწინების, სიკვდილიანობის, ოჯახის დემოგრაფიული განვითარების პროცესები. აქვე შემუშავდა მოსახლეობის საყოველთაო და მიკროაღწერების ჩატარებისა და მიღებულ მონაცემთა დამუშავების პროგრამები, მოსახლეობის მოკვდავობის ცხრილები, მათ შორის სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების მიხედვით. განხორციელდა ასევე სიცოცხლის ხანგრძლივობის გაანგარიშების სამუშაოები სხვადასხვა ნიშნების მიხედვით და ქალთა რეპროდუქციული ქცევის შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევები. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო სახელმწიფო სტატისტიკის პრაქტიკულ საქმიანობას ამ მიმართულებებით.

სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობაში მეცნიერული კვლევის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდა საერთაშორისო შედარებების პრობლემები, განსაკუთრებით იმ დროისათვის არსებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მიხედვით. აღნიშნული საბჭო წარმოადგენდა ოფიციალურ საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრებიც იყვნენ სოციალისტური სისტემის სახელმწიფოები და მისი ცენტრალური ოფისი მდებარეობდა ქ. მოსკოვში. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და სოციალისტური სისტემის მოსპობის შემდეგ ეს ორგანიზაცია გაუქმდა 1992 წელს.

1990 წლიდან დღემდე სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ასევე ხელმძღვანელობდნენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორები: **ემილ ერშოვი, ვასილ პროსკურიაკოვი, მიხეილ ნაზაროვი, ვალფრიდ ტრეიერი, ვასილ სიმჩერა**. მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ **აკადემიკოსი ვასილ სიმჩერა**⁹. იგი მჭიდროდ თანამშრომლობდა ქართველ მეცნიერებთან, განსაკუთრებით დოქტორანტებთან. აკადემიკოსი ვ. სიმჩერა აღნიშნულ ინსტიტუტს 2001-2010 წლებში ხელმძღვანელობდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინსტიტუტის საქმიანობის ხარისხის სრულყოფაში. 2011 წლიდან დღემდე აღნიშნული ინსტიტუტის დირექტორია **პროფესორი ოლეგ რიბაკი**.

სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გარდა, რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის სისტემაში დღეისათვის ფუნქციონირებს ასევე რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი დამოუკიდებელი ქვესაუწყებო ორგანიზაცია. ესენია:

1) სტატისტიკის საინფორმაციო სისტემების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი;

⁹ აკადემიკოსი ვ. სიმჩერა 1986-1988 წლებში იყო ამ წიგნის ავტორის საკანდიდატო დისერტაციის მეცნიერ-კონსულტანტი.

2) სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და გავრცელების მთავარი რეგიონთაშორისო ცენტრი;

3) რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის სამმართველო.^d პირველი და მეორე ორგანიზაცია დიდი ხნის დაარსებულია და უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც ფუნქციონირებს, ხოლო მესამე კი შედარებით ახალია და დაახლოებით 10 წლის წინ დაარსდა. ამასთან, როგორც პირველი, ისე მეორე ორგანიზაციის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სტატისტიკურ მონაცემთა მიღება, დამუშავება და გავრცელება, რაც არ შეიძლება ითქვას მესამე ორგანიზაციაზე.

7.5. რუსეთის ფედერალური სტატისტიკური სამსახურის საერთაშორისო თანამშრომლობა

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახური (რუსსტატი) ფართოდ თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო და ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებთან, რის იურიდიულ საფუძველსაც წარმოადგენს ოფიციალური მემორანდუმები და ხელშეკრულებები. რუსსტატს სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის მემორანდუმში გაფორმებული აქვს 4 საერთაშორისო ორგანიზაციასთან. ესენია: 1) მსოფლიო ბანკი; 2) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკის დირექტორატი; 3) ევროკავშირის სტატისტიკური სამსახური (ევროსტატი); 4) საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო. გარდა ამისა, რუსსტატს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, შეთანხმებები და ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს მსოფლიოს 19 ქვეყნის ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებთან, მათგან 10 ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას წარმოადგენს.^e ეს ქვეყნებია: აზერბაიჯანი, ბელარუსი, ლიტვა, მოლდოვა, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ყირგიზეთი. სხვა ქვეყნებიდან რუსსტატს ურთიერთთანამშრომლობის აქტები გაფორმებული აქვს 9 ქვეყნის ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებთან, კერძოდ: ამერიკის შეერთებული შტატები, ბულგარეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, მაკედონია, მონღოლეთი, პოლონეთი, ფინეთი და ჩინეთი.

^d Подведомственные организации Федеральной службы государственной статистики.
<http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru>

^e Документы о сотрудничестве подписанные Росстатом (Госкомстатом) с национальными статистическими службами. <http://www.gks.ru/wps/wcm/rosstat/ru>

საერთაშორისო ორგანიზაციებთან სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობა ითვალისწინებს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორცაა: რუსსტატის ინსტიტუციურ განვითარებაში ხელშეწყობა; სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა გაანგარიშების მეთოდოლოგიის საერთაშორისო ჰარმონიზაცია; ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა; შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების მეთოდისა და ორგანიზაციის სრულყოფა; საერთაშორისო ორგანიზაციების უზრუნველყოფა სტატისტიკური ინფორმაციით; არადაკვირვებადი (ფარული) ეკონომიკის სტატისტიკური შეფასების მეთოდოლოგიის დანერგვა და სხვ.

სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობა მოიცავს მრავალ მნიშვნელოვან მიმართულებას, მაგალითად, გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ სამსახურთან რუსსტატის თანამშრომლობის ასპექტებია: საოჯახო და ფერმერული მეურნეობების სტატისტიკური გამოკვლევა; ბუნებრივი რესურსებისა და არამატერიალური აქტივების სტატისტიკა; ეკოლოგიური და სექტორთაშორისო ანგარიშების შედგენა; უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა და სხვ.¹¹

რუსსტატის თანამშრომლობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან სტატისტიკის სფეროში ითვალისწინებს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორცაა: ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა; საშინაო და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა; მშენებლობის, ინვესტიციებისა და უძრავი ქონების სტატისტიკა; სოფლის მეურნეობის სტატისტიკა; ენერგეტიკული ბალანსების აგების მეთოდოლოგია ნატურალურ და ღირებულებით გამოსახულებაში; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სტატისტიკა და სხვ.¹²

ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტატისტიკის სფეროში რუსსტატის თანამშრომლობის იურიდიული საფუძველია აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურთან გაფორმებული შეთანხმება, რაც ძირითადად ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის სტატისტიკაში კადრების მომზადებას და რუსსტატისადმი ტექნიკური დახმარების გაწევას.¹³

სტატისტიკის სფეროში რუსსტატის თანამშრომლობა პოლონეთთან ითვალისწინებს ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორცაა: ეროვნულ ანგარიშთა

¹¹ შეთანხმება რუსსტატსა და გერმანიის ფედერალურ სტატისტიკურ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ, 01.12.1999 წ., ვისბადენი (რუსულ და გერმანულ ენებზე).

¹² შეთანხმება რუსსტატსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სტატისტიკურ სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ, 23.11.2005 წ., პეკინი (რუსულ და ჩინურ ენებზე).

¹³ შეთანხმება აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურსა და რუსსტატს შორის თანამშრომლობის შესახებ, 15.07.1995 წ., ვაშინგტონი (რუსულ და ინგლისურ ენებზე).

სისტემის სრულყოფა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; საშინაო ვაჭრობის სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია; სოფლის მეურნეობის სტატისტიკის რეფორმირება; შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური გამოკვლევის სრულყოფა; კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისათვის. ¹⁴

მნიშვნელოვანი ურთიერთთანამშრომლობა აქვთ რუსსტატსა და ფინეთის ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს, რაც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: მოსახლეობის რეგისტრის შექმნის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები; სტატისტიკური მომსახურების მარკეტინგი; ინტერვიუს ხერხით მიღებული სტატისტიკური მონაცემების შეკრება და კომპიუტერული დამუშავება; საინფორმაციო-საპუბლიკაციო მომსახურების სისტემის ორგანიზაცია. ¹⁵

როგორც დავინახეთ, ზემოთ აღნიშნული ქვეყნების ნაციონალურ სტატისტიკურ სამსახურებთან თანამშრომლობა უმეტესად გულისხმობს მათი მხრიდან რუსსტატისადმი დახმარების გაწევას სხვადასხვა მიმართულებით, რაც ნაკარნახევაა გარდამავალი პერიოდის სირთულეებით, საერთაშორისო სტატისტიკური სტანდარტების დანერგვის აუცილებლობითა და საერთაშორისო შედარებების მეთოდოლოგიის სრულყოფის ამოცანებით. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყნის შემთხვევაში რუსსტატი იმყოფება საპირისპირო მდგომარეობაში, ანუ ის სხვადასხვა სახის დახმარებას უწევს მეორე ქვეყანას. ამის მაგალითია ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და მონღოლეთი. რუსსტატი მონღოლეთს ეხმარება სტატისტიკის შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: საწარმოთა სტატისტიკა; ეროვნულ ანგარიშთა სისტემის დანერგვა; სოციალური სტატისტიკა; მოსახლეობის აღწერების მომზადება და ჩატარება; საერთაშორისო შედარებები; სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელება მომხმარებლებს შორის. ¹⁶

სტატისტიკის სფეროში თანამშრომლობის გარდა, რუსეთის ფედერაციას სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთანაც. უკვე მრავალი ათეული წელია, რაც რუსეთი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ შემდეგი ცხრილი:

¹⁴ შეთანხმება რუსსტატსა და პოლონეთის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ, 07.12.2000 წ., ვარშავა (რუსულ და პოლონურ ენებზე).

¹⁵ შეთანხმება რუსსტატსა და ფინეთის ცენტრალურ სტატისტიკურ ბიუროს შორის თანამშრომლობის შესახებ, 17.08.2000 წ., მოსკოვი (რუსულ და ფინურ ენებზე).

¹⁶ შეთანხმება რუსსტატსა და მონღოლეთის ნაციონალურ სტატისტიკურ სამმართველოს შორის თანამშრომლობის შესახებ, 06.08.1997 წ., ულან-ბატორი (რუსულ და მონღოლურ ენებზე).

**ცხრილი 7.2. საქართველოსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობების
დინამიკა და სტრუქტურა**

	2000	%	2005	%	2010	%	2013	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (მლნ აშშ დოლარი) მათ შორის:	160,334	100	535,283	100	325,242	100	779,663	100
ექსპორტი	67,109	42	153,725	29	34,707	11	190,243	24
იმპორტი	93,225	58	381,558	71	290,536	89	589,420	76

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

**7.6. რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის
განვითარების კონცეფცია 2011-2017 წლებისათვის**

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის (რუსსტატი) მიერ წარმოებული ინფორმაციის სისტემის სრულყოფის მიზნით, 2011 წლის 28 იანვარს დამტკიცდა „რუსსტატის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის განვითარების კონცეფცია 2011-2017 წლებისათვის“.¹⁷ ეს კონცეფცია კომპლექსური დოკუმენტია და მოიცავს სტატისტიკურ მონაცემთა მოპოვების, გადაცემის, დამუშავებისა და გავრცელების ძირითადი მიმართულებების როგორც მიმდინარე, ისე საშუალოვადიანი განვითარების ღონისძიებებს.

კონცეფციაში საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის განვითარების ძირითად მიზნებად დასახულია შემდეგი:¹⁸

1. სტატისტიკური ინსტრუმენტარის (სპეციალური ფორმები და ინსტრუქციები) შემუშავების ვადების შემცირება და მათი ხარისხის ამაღლება;

¹⁷ Концепция развития ИВС Росстата на 2011-2017 годы. Москва 2010.

¹⁸ Концепция развития ИВС Росстата на 2011-2017 годы. Москва, 2010, стр. 9.

2. სტატისტიკური დაკვირვების ობიექტებიდან პირველადი სტატისტიკური მონაცემების შეგროვების ვადების შემცირება;
3. რუსსტატის წლიური სამუშაო გეგმების პროგრამულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის შექმნის ვადების შემცირება და ხარისხის ამაღლება;
4. იმ სტატისტიკურ მონაცემთა წილის ზრდა, რომელიც ინახება რეგიონული და ფედერალური დონეების ინტეგრირებული მონაცემების საცავებში;
5. ოფიციალური სტატისტიკური პუბლიკაციებისა და გამოცემების ვადების შემცირება და მათი ხარისხის ამაღლება;
6. რუსსტატის ინტერნეტ-პორტალზე განსათავსებელი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის განთავსების ვადების შემცირება და ხარისხის ამაღლება;
7. სტატისტიკურ ინფორმაციაზე სახელმწიფო ორგანოების, მოსახლეობისა და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ვადების შემცირება;
8. გარე საინფორმაციო სისტემებთან ავტომატური (ელექტრონული) საინფორმაციო ურთიერთმოქმედება საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე;
9. საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის წლიური საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების გზით.

ზემოთ აღნიშნული კონცეფციაში განსაზღვრულია ასევე ახალი თაობის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის შექმნისა და დანერგვის 5 ძირითადი ეტაპი.¹⁹ ესენია:

პირველი ეტაპი. ახალი თაობის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის დანერგვისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით უნდა განხორციელდეს:

- 1) მეთოდოლოგიის სისტემის სრულყოფა;
- 2) ინფორმაციის ეროვნული სისტემის ჰარმონიზაცია და მისი მართვის სისტემის დანერგვა;
- 3) ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დანერგვა;
- 4) ერთიანი მულტისერვისული ქსელი;
- 5) ტექნიკური მხარდაჭერის ერთიანი სამსახური.

პირველი ეტაპის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს უახლოეს 2 წელიწადში.

მეორე ეტაპი. ახალი თაობის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების მიზნით უნდა შემუშავდეს სპეციალური საბაზო მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფენ მონაცემთა ერთიანი საცავის შექმნას და რუსსტატის

¹⁹ Концепция развития ИВС Росстата на 2011-2017 годы. Москва, 2010, стр. 53.

ინტერნეტ-პორტალის გაუმჯობესებას. ეს გულისხმობს:

- 1) სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საცავის შექმნას;
- 2) არსებული საცავებიდან მონაცემთა იმპორტს;
- 3) რუსსტატის ინტერნეტ-პორტალის ფუნქციონალური შესაძლებლობების განვითარებას;
- 4) სატრანსპორტო სისტემის დანერგვას;
- 5) მონაცემთა მიმდინარე ანალიზის სპეციალიზებული სისტემების დანერგვას.

მესამე ეტაპი. ახალი თაობის უნივერსალური სტატისტიკის საინფორმაციო სისტემის დანერგვა, რომლის დასრულება კონცეფციის მიხედვით გათვალისწინებულია 2014 წლისათვის.

მეოთხე ეტაპი. ახალი თაობის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის ფუნქციონალური შესაძლებლობების განვითარება, რომელიც უნდა განხორციელდეს 2016 წლამდე.

მეხუთე ეტაპი. სტატისტიკური დაკვირვებისა და პირველადი მონაცემების შეგროვების ყველა ამოცანის რეალიზაცია ერთიან სისტემაში. კონცეფციის მიხედვით, მოცემული ეტაპის დასრულება გათვალისწინებულია 2017 წლისათვის.

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის საინფორმაციო-გამოთვლითი სისტემის განვითარების კონცეფციის სრულად განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სტატისტიკური ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გავრცელებისა და შენახვა-დაცვის მექანიზმი.

7.7. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია რუსეთის ფედერაციაში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. რუსეთის ფედერაციაში სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალური სტატისტიკური სამსახური (რუსსტატი) შეიქმნა:

- ა) 1995 წელს;
- ბ) 2006 წელს;
- გ) 1998 წელს;
- დ) 2004 წელს.

3. რომელი წლიდან დაიწყო რუსეთში სტატისტიკური ანგარიშგების დეცენტრალიზებული პრაქტიკა ცალკეული გუბერნიების დონეზე:

- ა) 1885;
- ბ) 1802;
- გ) 1846;
- დ) 1811.

4. რომელ წელს შექმნა ი. კირილოვმა რუსეთის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეკონომიკური ატლასი, რომელშიც დიდი მოცულობის სტატისტიკური ინფორმაცია იყო?

- ა) 1775;
- ბ) 1734;
- გ) 1849;
- დ) 1861.

5. ვის ეკუთვნის რუსეთში პირველი სამეცნიერო ნაშრომი მოსახლეობის აღრიცხვის ორგანიზაციის საკითხებზე?

- ა) ვ. ტატიშჩევს;
- ბ) მ. ლომონოსოვს;
- გ) კ. გერმანს;
- დ) ი. კირილოვს.

6. ვის მიერ და რომელ წელს შემუშავდა პირველადი სტატისტიკური მონაცემების მოპოვებისათვის ე. წ. „აკადემიური ანკეტა“ ?

- ა) ვ. ტატიშჩევის მიერ 1740 წელს;
- ბ) მ. ლომონოსოვის მიერ 1760 წელს;
- გ) კ. გერმანის მიერ 1770 წელს;
- დ) ი. კირილოვის მიერ 1750 წელს.

7. რით იყო მნიშვნელოვანი რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ისტორიაში 1811 წელი?

- ა) დამტკიცდა ახალი კანონი სტატისტიკის შესახებ;
- ბ) ჩატარდა რუსეთის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;
- გ) პოლიციის სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის განყოფილება;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

8. ისტორიულად რომელ წელს გამოიცა რუსეთში პირველი სახელმძღვანელო სტატისტიკის თეორიასა და მეთოდოლოგიაში?

- ა) 1875;
- ბ) 1834;
- გ) 1809;
- დ) 1819.

9. ვინ იყო რუსეთში სტატისტიკის თეორიასა და მეთოდოლოგიაში პირველი სახელმძღვანელოს ავტორი?

- ა) გ. ახენვალი; ბ) მ. ლომონოსოვი; გ) კ. გერმანი; დ) ი. კონრინგი.

10. ისტორიულად რომელ წელს ჩამოყალიბდა რუსეთში პირველად ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი?

- ა) 1858; ბ) 1834; გ) 1859; დ) 1818.

11. რუსეთის სტატისტიკურმა კომიტეტმა 1852 წელს გამოსცა დიდი მოცულობის სტატისტიკური კრებული სახელწოდებით:

- ა) „რუსეთის ქალაქების მოსახლეობა“;
ბ) „სტატისტიკური ცხრილები 1849 წლის მონაცემების მიხედვით“.
გ) „სტატისტიკური კრებული 1850 წლის მონაცემების მიხედვით“.
დ) „ქალაქ-დასახლებები რუსეთში“.

12. რუსეთის სტატისტიკურმა კომიტეტმა 1859 წელს გამოსცა დიდი მოცულობის სტატისტიკური კრებული სახელწოდებით:

- ა) „რუსეთის გუბერნიების მოსახლეობა“;
ბ) „სტატისტიკური წელიწადეული 1857 წლის მონაცემების მიხედვით“.
გ) „რუსეთის მაზრები და ქალაქები“.
დ) „ქალაქ-დასახლებები რუსეთში“.

13. რომელ წელს ჩატარდა რუსეთში პირველად რუსეთის სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა?

- ა) 1898; ბ) 1934; გ) 1939; დ) 1918.

14. რომელ წელს შეიქმნა რუსეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო?

- ა) 1918; ბ) 1924; გ) 1939; დ) 1928.

15. რომელ წელს მიიღეს ფედერალური კანონი „ოფიციალური სტატისტიკური ადრიცხვისა და სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის შესახებ რუსეთის ფედერაციაში“?

- ა) 1969; ბ) 2007; გ) 1998; დ) 2008.

16. რომელ წელს შეიქმნა რუსეთში სტატისტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი?

- ა) 1960; ბ) 1984; გ) 1963; დ) 1988.

17. მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით 2012 წელს რუსეთი მსოფლიოში იყო:

- ა) მე-8 ადგილზე; ბ) მე-6 ადგილზე; გ) მე-9 ადგილზე; დ) მე-7 ადგილზე.

18. 2012 წელს რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობაზე მეტი მოსახლეობა იყო:

ა) იაპონიაში; ბ) პაკისტანში; გ) მექსიკაში; დ) ფილიპინებში.

19. რუსეთის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობის აბსოლუტურმა მატებამ (კლებამ) 2005-2013 წლებში შეადგინა:

ა) 350 ათასი; ბ) 208 ათასი; გ) -364 ათასი; დ) -500 ათასი.

20. რუსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალოწლიურმა მატებამ (კლებამ) 2005-2013 წლებში შეადგინა:

ა) -62,5 ათასი; ბ) 55,4 ათასი; გ) -49,5 ათასი; დ) 42,7 ათასი.

21. 2013 წელს რუსეთის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში ქალების ხვედრიწილი მეტი იყო მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (პროცენტული პუნქტით):

ა) 9,5-ით; ბ) 7,4-ით; გ) 5,7-ით; დ) 8,3-ით.

22. 2013 წელს რუსეთის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში მამაკაცების რიცხოვნობა ნაკლები იყო ქალებზე:

ა) 10,7 მლნ-ით; ბ) 14,1 მლნ-ით; გ) 12,3 მლნ-ით; დ) 9,4 მლნ-ით.

23. 2013 წელს რუსეთის მშპ-ის საშუალო მოცულობამ ერთ ადამიანზე შეადგინა (აშშ დოლარი):

ა) 19 853; ბ) 20 523; გ) 15 027; დ) 13 295.

24. 2013 წელს 2005 წელთან შედარებით, რუსეთის მშპ-ის საშუალო მოცულობა ერთ ადამიანზე:

- ა) გაიზარდა 2,9-ჯერ;
- ბ) შემცირდა 1,4-ჯერ;
- გ) გაიზარდა 2,6-ჯერ;
- დ) შემცირდა 1,3-ჯერ.

25. 2012 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით რუსეთი იყო:

- ა) მე-5 ადგილზე;
- ბ) მე-8 ადგილზე;
- გ) მე-3 ადგილზე;
- დ) მე-9 ადგილზე.

26. 2012 წელს რუსეთიდან საქართველოში უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელდა, ვიდრე

- ა) ლუქსემბურგიდან;
- ბ) კვიპროსიდან;
- გ) საფრანგეთიდან;
- დ) ავსტრიიდან.

27. 2012 წელს რუსეთის მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა უფრო მეტი იყო, ვიდრე:

- ა) ნიგერიაში;
- ბ) ბანგლადეშში;
- გ) მექსიკაში;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

28. 2000-2013 წლებში საქართველოდან რუსეთში საქონლის ექსპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 8-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 1,7-ჯერ;
- გ) გაიზარდა 2,8-ჯერ;
- დ) მიახლოებით იგივე დარჩა.

29. 2000-2013 წლებში რუსეთიდან საქართველოში საქონლის იმპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 1,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 6,3-ჯერ;
- გ) შემცირდა 1,9-ჯერ;
- დ) გაიზარდა 5,8-ჯერ.

30. საქართველოსა და რუსეთს შორის 2000-2013 წლებში ვაჭრობის მთლიანი მოცულობა:

- ა) გაიზარდა 3,6-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 4,9-ჯერ;
- გ) შემცირდა 2,8-ჯერ;
- დ) შემცირდა 1,5-ჯერ.

31. 2000-2013 წლებში საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში ექსპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 14 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 9 პუნქტით;
- გ) შემცირდა 18 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 12 პუნქტით.

32. 2000-2013 წლებში საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში იმპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 12 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 18 პუნქტით;
- გ) შემცირდა 7 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 9 პუნქტით.

33. საქართველოს საგაჭრო ბალანსი რუსეთთან 2000-2013 წლებში იყო:

- ა) უარყოფითი; ბ) დადებითი; გ) ცვალებადი; დ) არაშესაღარისი.

თემა 8. ოფიციალური სტატისტიკის ევოლუცია და მისი თანამედროვე ორგანიზაცია იაპონიაში

8.1. თანამედროვე სტატისტიკური სისტემის ფორმირების დასაწყისი

იაპონიაში ოფიციალური სტატისტიკის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ 1869 წელს. ამავე წელს დაარსდა საბიუჯეტო და საგადასახადო სამინისტრო და ასევე 1870 წლის 18 ოქტომბერს მთავრობამ ჩამოაყალიბა პრეფექტურები, რათა გამოეშვა „სასაქონლო ცხრილი თითოეული პრეფექტურისთვის“. აღნიშნული ცხრილი იძლეოდა სტატისტიკურ ინფორმაციას სასოფლო, სატყეო, საზღვაო, სამრეწველო პროდუქტების წარმოების შესახებ. ამ სტატისტიკურ მიმოხილვაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა ფინანსთა სამინისტროს 1871 წელს და შინაგან საქმეთა სამინისტროს 1873 წელს, თუმცა ეს მიმოხილვა გაუქმებულ იქნა 1877 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადების საფუძველზე, რომელმაც შეასწორა, ახალ ფორმატში ჩამოაყალიბა და ეწოდა ახალი სახელი „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები“-ს ცხრილი. ეს ცხრილი არის თავდაპირველი სახე დღევანდელი სტატისტიკური მიმოხილვის, რომელიც გვთავაზობდა პირველ სტატისტიკურ ინფორმაციას საქონლისა და მომსახურების შესახებ იაპონიაში. სტატისტიკის დღემ, რომელიც იაპონიაში დაარსდა 1973 წელს, უკვდავო „სასაქონლო ცხრილი თითოეული პრეფექტურისთვის“.

1871 წელს იაპონიის ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა სტატისტიკის სამსახური, ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებელი იყო საგადასახადო სტატისტიკაზე და ოჯახების რეგისტრაციაზე. იმავე წელს ჩამოყალიბდა სტატისტიკის სამმართველო ცენტრალურ სამსახურთან ერთად². სამმართველო ახორციელებდა სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავებას და ამზადებდა მას ფართო საზოგადოებისათვის წარსადგენად, ანუ გამოსაქვეყნებლად.

მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის მთავრობამ მკვეთრად შეამცირა სტატისტიკის დაფინანსება, რამაც დიდი დარტყმა მიაყენა მის განვითარებას. გაუარესდა სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და საიმედოობა, რის გამოც დიდი სიფრთხილით გამოიყენებოდა სამხედრო მიზნებისათვის. სხვადასხვა ორგანიზაციები იყენებდნენ სტატისტიკურ მიმოხილვებს საკუთარი მიზნებისათვის თანმიმდევრულობისა და კონტროლის გარეშე. ასევე ფარულად აგროვებდნენ მონაცემებს, რომლებიც მათ სჭირდებოდათ და ამ ყველაფრის შედეგად სტატისტიკურმა მონაცემებმა დაკარგეს ნდობა საზოგადოების თვალში.

² Start of Modern Statistical Survey System.

8.2. იაპონიის სტატისტიკური სისტემის რეკონსტრუქცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებულ იაპონიას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია, მათ შორის სტატისტიკურ სისტემასაც და, შესაბამისად, ეს პროცესი სწრაფად განვითარდა ².

1946 წლის მაისში იაპონიის მინისტრთა კაბინეტის ფარგლებში შეიქმნა სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი. ეს ინსტიტუტი ხელმძღვანელობდა თეორიულ სწავლებას, რათა ჩამოყალიბებულიყო სტატისტიკა და გაუმჯობესებულიყო მისი ორგანიზაციული სისტემა. ინსტიტუტი მიზნად ისახავს სტატისტიკური ცოდნის განვითარებასა და გავრცელებას და ასევე იაპონიასა და გლობალურ დონეზე სტატისტიკური სისტემების განვითარებაში წვლილის შეტანას. ინსტიტუტს აქვს ოთხი მთავარი ფუნქცია: 1) სტატისტიკური კვლევა, 2) სტატისტიკური ტრეინინგი, 3) სტატისტიკური წლიური გამოცემებისა და სხვა სტატისტიკური კომპენდიუმების შეგროვება და სისტემატიზება, 4) სტატისტიკის ბიბლიოთეკის სერვისები. ინსტიტუტი სისტემატურად უზრუნველყოფს სტატისტიკის ტრეინინგ კურსებს იაპონურ ენაზე მხოლოდ ეროვნული და ადგილობრივი მთავრობების სამოქალაქო მოსამსახურეებისთვის ქვეყნის შიგნით. ინსტიტუტი დაარსდა 1921 წელს როგორც სტატისტიკის სახელმწიფო ტრეინინგ ინსტიტუტი ცენზის (ადწერის) სამსახურის ფარგლებში. 1943-1946 წლებში მისი ფუნქციონირება შეჩერებული იყო და მისი ამოქმედების შემდგომ, 1948 წელს იგი გახდა მუდმივმოქმედი ორგანო, პრემიერ-მინისტრის სააგენტოს სტატისტიკის ბიუროში. 1971 წელს ინსტიტუტმა გახსნა კურსები ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლებისა და საჯარო კორპორაციების ყველა პერსონალისთვის და სახელის შეცვლის შემდეგ დაერქვა სტატისტიკის ბიუროს სტატისტიკური ტრეინინგ ინსტიტუტი. 1984 წელს ადმინისტრაციული რეფორმების შედეგად ინსტიტუტი გახდა მენეჯმენტისა და კოორდინაციის სააგენტოს სტატისტიკის ცენტრის სუბსიდიური ორგანო. 2001 წელს მიმდინარე ადმინისტრაციული რეფორმების განმავლობაში, როდესაც დაარსდა შინაგან საქმეთა და კომუნიკაციების სამინისტრო (MIC), ინსტიტუტი გარდაიქმნა სტატისტიკური კვლევებისა და ტრეინინგის ინსტიტუტად (კვლევებისა და გამოქვეყნების ფუნქციების, ისევე, როგორც ბიბლიოთეკის ინტეგრირების მეშვეობით). ეს განხორციელდა იმისათვის, რომ დაემყარებინათ უფრო სისტემური კავშირი კვლევისა და ტრეინინგს შორის. 2003 წლის აპრილში სტატისტიკის კვლევებისა და ტრეინინგის ინსტიტუტი დაადგინეს MIC-ის დამოუკიდებელ საგანმანათლებლო ინსტიტუციად. სტატისტიკური ტრეინინგ ინსტიტუტი ასრულებს ცენტრალური სტატისტიკური ტრეინინგ ინსტიტუტის, ისევე, როგორც იაპონიაში სტატისტიკის სპეციალური ტრეინინგ ინსტიტუტის როლებს. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვაგვარ სტატისტიკურ ტრეინინგ კურსებს ეროვნული და ადგილობრივი მთავრობების პერსონალისთვის იმ მიზნით, რომ მიანიჭონ სტატისტიკური ცოდნა და

² Reconstruction of the Statistical System in the Post-World War II Period.

უნარები ისეთი მოვალეობებისთვის, როგორებიცაა სტატისტიკის კომპილაცია, სტატისტიკური ანალიზი და სტატისტიკური მონაცემების გამოყენება. სტატისტიკური ტრენინგ კურსები სამი მიმართულებისაა: 1) **სრული კურსი**; სრული კურსი მიზნად ისახავს სტატისტიკაში ექსტენსიური და სრული ცოდნის, თეორიებისა და ანალიტიკური უნარების უზრუნველყოფას, რომლებიც მოთხოვნილია სხვადასხვა ადმინისტრაციულ სფეროში. 2) **თემატური კურსები**; თემატური კურსები ძირითადად მიზნად ისახავს სტატისტიკაში ცოდნის, თეორიებისა და ანალიტიკური უნარების უზრუნველყოფას სრული კურსის შემადგენელი საგნების მეშვეობით, როგორიცაა “სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა,” “მოსახლეობის შეფასება” და “ეროვნული და პრეფექტურის ანგარიშები.” 3) სპეციალიზებული კურსები კონკრეტული სტატისტიკური სფეროების მიხედვით.

1946 წელს შეიქმნა „სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესების კომიტეტი“. იმავე წელს კომიტეტმა პრემიერ-მინისტრთან წარადგინა „სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესების რეკომენდაციები“ და მიუთითა სტატისტიკური სისტემის სრულყოფის და რეორგანიზაციის აუცილებლობაზე. ეს მოიცავდა მრავალ სხვადასხვა საკითხს, როგორიცაა სტატისტიკური ორგანიზაციის შექმნა, სტატისტიკური კომისიის შექმნა, თანამშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სტატისტიკური კანონის ამოქმედება.

ამ რეკომენდაციების მომზადებისას „სტატისტიკური სისტემის გაუმჯობესების კომიტეტმა“ გამოსცადა ეს სიტუაცია დიდ ქვეყნებში და დაასკვნა, რომ ყველაზე მეტად მისაღებია სპეციალური სტატისტიკური ბიუროს და ცალკეული სამინისტროთა სამმართველოების ჩამოყალიბება იაპონიის სტატისტიკური სისტემისთვის. ამის შესაბამისად შეიქმნა სტატისტიკური კომისია 1946 წელს. ამის შემდგომ კომისიამ წამოიწყო სხვადასხვა საქმიანობა, რომ განეფიქრებინა სტატისტიკური სისტემა იაპონიაში. 1952 წელს ეს კომისია დაიყო ორ ორგანიზაციად: პირველი იყო ადმინისტრაციული მენეჯმენტის სააგენტოს სტატისტიკური სტანდარტების დეპარტამენტი ადმინისტრაციული ფუნქციებით, იმისათვის რომ დაეგეგმა მთავარი საკითხები და კოორდინაცია გაეწია სტატისტიკური საქმიანობისათვის. მეორე ორგანიზაცია იყო ახალი სტატისტიკური კომისია სათათბირო ორგანოს ფუნქციით. ეს კომისია იყო სააგენტოს დამხმარე ორგანო. ამასთანავე, აუცილებლობის შემთხვევაში კომისიას შეეძლო პრემიერ-მინისტრისადმი წარედგინა რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხებზე.

დეპარტამენტი შეიცვალა ადმინისტრაციული მენეჯმენტის სააგენტოს სტატისტიკური სტანდარტების ბიუროდ 1957 წელს და ადმინისტრაციული მენეჯმენტის ბიურო ადმინისტრაციული მენეჯმენტის სააგენტოდ 1968 წელს. 1984 წელს შეიქმნა მენეჯმენტისა და კოორდინაციის სააგენტო ახალი სისტემის შესაქმნელად, რომლის ცენტრს წარმოადგენდა სტატისტიკის ბიურო და სტატისტიკის ცენტრი. სტატისტიკის სტანდარტების ბიუროს გაერთიანებით სტატისტიკის ბიუროსთან განხორციელდა სტატისტიკური კვლევები. ამ რეორგანიზაციის შედეგად სტატისტიკის ბიუროს სტატისტიკური სტანდარტების სამმართველო და სტატისტიკის კომისია დარჩა როგორც სახელმწიფო სამინისტროს სათათბირო ნაწილი.

ცენტრალური მთავრობის რეფორმირების პერიოდში - 2001 წელს - სტატისტიკური ბიუროს სტატისტიკური სტანდარტების სამმართველოს გადაერქვა სახელი და ახლა ეწოდება სტატისტიკური სტანდარტების სამმართველო, რომელიც შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტროს (MIC) დაქვემდებარებაშია.

თანამედროვე იაპონიის შესახებ ზოგიერთი სტატისტიკური მაჩვენებელი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 8.1. იაპონიის ზოგიერთი დემოგრაფიული და მაკროეკონომიკური მაჩვენებელი

		2007	2010
1.	მოსახლეობის მთლიანი რიცხოვნობა (ათასი კაცი): მათ შორის:	126,334,9	128,057,4
2.	ქალები	64,484,1	65,729,7
3.	მამაკაცები	61,750,8	62,327,7
4.	მშპ-ის მთლიანი მოცულობა (მლნ დოლარი)	4,356,3	5,488,4
5.	მშპ-ის მოცულობა საშუალოდ 1 მცხოვრებზე (დოლარი)	34 489	42 845
6.	უმუშევრობის დონე, %	3,8	5,0

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ იაპონიის სტატისტიკის ბიუროს ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობამ 2007-2010 წლებში დაახლოებით 1,723 მილიონით მოიმატა. მაგრამ ეს მოხდა უმეტესად ქალების ხარჯზე, რადგან მათი რიცხოვნობა იმავე პერიოდში გაიზარდა 1,246 მილიონით, ხოლო მამაკაცების რიცხოვნობა კი - 577 ათასით.

8.3. სტატისტიკის შესახებ კანონის რევიზია და სტატისტიკური სისტემის რეფორმირება

2007 წლამდე სტატისტიკური სისტემის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენდა შემდეგი საკანონმდებლო აქტები: 1) სტატისტიკის შესახებ ძველი კანონი

(მიღებული 1947 წელს), რომელიც მთავარ კანონს წარმოადგენდა; 2) სტატისტიკური კოორდინაციის ანგარიში, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ტვირთის შემსუბუქება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამზადებდნენ სტატისტიკურ მოხსენებებს, აუმჯობესებდნენ ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურობას; 3) მინისტრთა კაბინეტისა და სამინისტროების ბრძანებულებები, რომლებიც გამოიცემოდა დელეგირების საფუძველზე კანონის ან მინისტრთა კაბინეტის განკარგულების შესაბამისად. სტატისტიკის შესახებ კანონს 60 წლის მანძილზე ცვლილება არ განუცდია და 2007 წელს მოხდა მისი გადახედვა, ხოლო სტატისტიკური კოორდინაციის ანგარიში კი გაუქმდა ². ცვლილებები გამოიწვია სამრეწველო სტრუქტურის, კვლევების გარემოს ცვლილებამ, გაიზარდა მოთხოვნა სხვადასხვა სტატისტიკურ ინფორმაციაზე. შესწორებული კანონი გამოქვეყნდა 2007 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 2009 წელს. ძველი კანონის მთავარმა პრინციპმა „სტატისტიკა ადმინისტრაციისთვის“ ტრანსფორმაცია განიცადა შემდეგნაირად: „სტატისტიკური ინფორმაცია საზოგადოებისთვის.“

კანონის თავისებურებები მდგომარეობს შემდეგში ²:

- **ოფიციალური სტატისტიკა - ეს არის კრიტიკული ინფორმაცია საზოგადოებისთვის.**

მიუხედავად იმისა, რომ ძველი კანონის მთავარი მიზანი იყო სტატისტიკის სიმართლის უზრუნველყოფა, გამოკითხულთა კონფიდენციალურობის დაცვა, სტატისტიკურ კვლევებში დუბლირების აღმოფხვრა, ახალი კანონი გულისხმობს, რომ ის წარმოადგენდეს აქტივს მოქალაქეებისთვის, იყოს კრიტიკული ინფორმაცია მოქალაქეებისთვის გონივრული გადაწყვეტილებების მიღებისას.

- **კანონმა უნდა შექმნას მთავარი გეგმა, რომელიც ყოველწლიური გეგმით ოფიციალური სტატისტიკის განვითარებას ემსახურება.**

კანონი ითვალისწინებს, რომ მთავარი გეგმა უნდა იყოს დადგენილი კაბინეტის მიერ, რათა უზრუნველყოს სტატისტიკის სრულყოფილი და სისტემური განვითარება.

- **კანონი მოიცავს მთლიან ოფიციალურ სტატისტიკას დამუშავებული სტატისტიკების ჩათვლით.**

ძველ კანონში სტატისტიკის საჯაროობა შეზღუდული იყო. ახალი კანონის მიზანია ხელი შეუწყოს სტატისტიკის სისტემატურ განვითარებას, წარმოებულს საჯარო დაწესებულებების მიერ.

- **კონტროლის შემჭიდროება კვლევების კონფიდენციალობაზე (ვალდებულება - შეინარჩუნოს საიდუმლოება და ხელი შეუწყოს სტატისტიკური მონაცემების გამოყენებას სამეცნიერო კვლევების საჭიროების შესაბამისად).**

² Revision of the Statistics Act and Reform of Statistical System

² Statistics Act (Act No 53 in 2007). MIC, 2009.

ახალი კანონი ეხება ასევე ისეთ ურთიერთდაკავშირებულ წესებს, როგორცაა კითხვარის ფორმის სათანადო მართვა და სტატისტიკურ კვლევებში კონფიდენციალურობის დაცვა. გარდა ამისა, აუცილებელი რეაგირება აკადემიური კვლევების საჭიროების შესაბამისად.

➤ **სტატისტიკური კომისიის შექმნა.**

კანონის გადახედვის შედეგად, ყოფილი სტატისტიკის საბჭო (IC) გადაკეთდა მთავრობის სამსახურის სტატისტიკის კომისიად, რომელიც ზრუნავს ძირითადი გეგმის პროექტის ჩამოყალიბებაზე, ახორციელებს ინდივიდუალური კვლევების პროექტების შემუშავებას, რასაც ყოფილი საბჭო აკეთებდა.

8.4. სტატისტიკის დღე იაპონიაში და მისი დაწესების მთავარი მიზეზი

იაპონიაში სტატისტიკის დღე დაწესებული იქნა 1973 წელს. სტატისტიკის დღე დაწესდა იაპონელ ხალხში ცნობიერების ასამაღლებლად სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ, რათა ეთანამშრომლა საზოგადოებას სტატისტიკური კვლევების ჩატარებაში. სტატისტიკის დღე ტარდება ყოველი წლის 18 ოქტომბერს, რომელიც მოიცავს მრავალ სამთავრობო ღონისძიებებს, როგორცაა მაგალითად, დაჯილდოების ცერემონიებს, ახორციელებს იმ პირების წარმოჩენას, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სტატისტიკის თეორიისა და პრაქტიკის გაუმჯობესებაში. ტარდება ასევე ლექციები, გამოფენები და სხვადასხვა ღონისძიებები სტატისტიკის შესახებ ცოდნის გადმავებისა და ფართო პოპულარიზაციისათვის. ეს ღონისძიებები ტარდება მთავრობასთან და სხვა ორგანიზაციებთან (მათ შორის კერძო სექტორთან) მჭიდრო თანამშრომლობით. სტატისტიკის დღის დაწესების მთავარი მიზეზია საზოგადოებაში გააღრმავონ ინტერესი სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ და გავრცელდეს უფრო მეტად რიგ სხვადასხვა სფეროში. ამასთანავე, სტატისტიკური კვლევები, რომლებიც ტარდება ცენტრალური და ადგილობრივი მთავრობის მიერ, თანდათან იხვეწება. ეს დამსახურებაა არა მარტო იაპონიის მთავრობის, არამედ იაპონელი მოსახლეობისაც. სწორედ ამ მიზეზით, მთავარის კალენდრითა და მზის კალენდრით, 18 ოქტომბერი ითვლება სტატისტიკის დღედ. ამ თარიღთან დაკავშირებით, სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციებისთვის სავალდებულოა, რომ ჩაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტატისტიკის მნიშვნელობის ზრდას და მის კიდევ უფრო ფართო პოპულარიზაციას მოსახლეობაში.

8.5. სტატისტიკის ორგანიზაციის ზოგადი სისტემა იაპონიაში

ტრადიციულად, იაპონიაში მიღებულია დეცენტრალიზებული სტატისტიკური ორგანიზაცია, რომლის მიხედვითაც თითოეულ სამინისტროს აქვს სტატისტიკის ცენტრალური ბიურო, რომელიც აგროვებს, ამუშავებს და ამზადებს სტატისტიკურ ინფორმაციას საკუთარი და სხვა სამინისტროებისთვის². იაპონიის მთავრობას მიაჩნია, რომ დიდი ზომის სახელმწიფო სტატისტიკის ადმინისტრაციის ნაცვლად, უფრო ეფექტურია სტატისტიკის ინდივიდუალური ადმინისტრაციული დაყოფა, ვიდრე ჰქონდეს ერთი ცენტრალური ორგანიზაცია, რომელიც ჩაატარებს ფართომასშტაბიან სტატისტიკურ კვლევებს და მიმოხილვებს, როგორცაა აღწერები და პატარა სტატისტიკური მიმოხილვები. მეორეს მხრივ, დეცენტრალიზებული სტატისტიკური ორგანიზაცია ითხოვს კოორდინაციას, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა და აიცილოს დუბლირება. იაპონიაში სტატისტიკური სტანდარტების გენერალური დირექტორი დაგეგმვის პოლიტიკაში არის სწორედ პასუხისმგებელი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის სტატისტიკის სფეროშიც.

იაპონიაში გავრცელებულია სტატისტიკის დეცენტრალიზებული და ცენტრალიზებული ორგანიზაციის შესახებ შემდეგი ზოგადი შეხედულებები:

დეცენტრალიზებული სისტემა:

ზოგადი მექანიზმი – სტატისტიკური ფუნქციები გაფანტულია ინდივიდუალურ ადმინისტრაციებს შორის სხვადასხვა დონეზე.

დადებითი ასპექტი – სტატისტიკა ოპერატიულად რეაგირებს სოციალურ, ეკოლოგიურ და ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე ცვლილებებზე. თითოეულ სამინისტროს საშუალება აქვს უფრო სწრაფად გამოიყენოს იგი.

უარყოფითი ასპექტი – სტატისტიკის ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შედარებით მცირე ხარისხი იწვევს ნაკლებ ყურადღებას ზოგად სიტუაციებში; ასევე, დუბლირებამ სტატისტიკურ კვლევებში შეიძლება გამოიწვიოს ხარვეზები მთლიანად სტატისტიკურ სისტემაში. ამის მაგალითებად ასახელებენ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ინდოეთს და სხვ.

ცენტრალიზებული სისტემა:

ზოგადი მექანიზმი – სტატისტიკური ფუნქციები მიმაგრებულია ერთ ცენტრალურ ორგანიზაციაზე, როგორცაა სტატისტიკის ცენტრალური ბიურო.

დადებითი ასპექტი – ადვილია სარგებლობისთვის; სისტემა აწყობილია ადვილად და გასაგებად.

უარყოფითი ასპექტი – სირთულეებია სტატისტიკური კვლევების ჩატარებისას,

² Organization Chart of Statistical System in Japan.

რაც ზუსტად და ოპერატიულად ვერ ასახავს ადმინისტრაციულ საჭიროებებს; სირთულეებია ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებასთან დაკავშირებითაც ადმინისტრაციაში სტატისტიკური კვლევების დაგეგმვისა და ჩატარების პროცესში.

8.6. მთავრობის საკოორდინაციო მექანიზმი სტატისტიკის სისტემაში

სტატისტიკური სტანდარტების გენერალური დირექტორის მთავარი სამმართველო დაგეგმვის პოლიტიკაში წარმოადგენს მთავარ საკოორდინაციო მექანიზმს სტატისტიკურ სისტემაში, რომელიც ასრულებს თავის ფუნქციებს MIC-ის და სტატისტიკის შესახებ კანონის საფუძველზე. სამმართველოს მთავარ მოვალეობებს წარმოადგენს შემდეგი ²:

- I. ძირითადი გეგმის პროექტის შედგენა, რომელსაც საფუძველად უდევს მთავრობის გადაწყვეტილება ოფიციალური სტატისტიკის ყოვლისმომცველი და სისტემური განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
- II. სტატისტიკის კომისიაში სტატისტიკური კვლევის გეგმების მომზადება და კომისიის რეკომენდაციების შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა.
- III. სტატისტიკური კვლევების შესრულების მითითებების შემოწმება, სტატისტიკური სისტემის განვითარების ხელშეწყობა, დუბლირებული კვლევების აღმოფხვრა, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ტვირთის შემცირება.
- IV. გეგმების გადახედვა, სტატისტიკური გეგმების განსახორციელებლად ტექნიკური ასპექტების შესაბამისად, რათა მოხდეს მათი შემდგომი წარდგენა ფინანსთა სამინისტროში.
- V. სტატისტიკის სხვადასხვა სტანდარტების ჩამოყალიბება და სტატისტიკის შედარებითობისა და თავსებადობის გაუმჯობესება.

სტატისტიკური სტანდარტების სამმართველო დაგეგმვის საკითხებში ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციას, საერთაშორისო სტატისტიკასთან დაკავშირებული ოპერაციების კოორდინაციას და SIAP-ის დახმარებას სხვადასხვა სასწავლო სემინარებით. უფრო მეტიც, იმისათვის რომ ჩატარდეს ნეიტრალური, სამართლიანი კვლევები, 2007 წელს იაპონიის მთავრობაში შეიქმნა სტატისტიკის კომისია, როგორც ნეიტრალური, ანუ მესამე მხარის ორგანიზაცია. კომისია შედგება ცამეტი ექსპერტისგან, რომელიც ატარებს კვლევებს MIC-თან კონსულტაციით და მთავარი გეგმის პროექტის გათვალისწინებით.

² Role of the Director-General for Policy Planning (Statistical Standarts)

8.7. სტატისტიკის მწარმოებელი მთავარი სამთავრობო ორგანიზაციები იაპონიაში

თანამედროვე მსოფლიოში იაპონიას გააჩნია ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სტატისტიკის სისტემა. თითოეული სამინისტრო ამზადებს სტატისტიკურ ინფორმაციას ინდივიდუალურად თავის სპეციალურ სამმართველოში. სტატისტიკის ორგანიზაციული სისტემა მრავალფენიანია. სტატისტიკური ინფორმაცია უშუალოდ მიბმულია ყოველი სამინისტროს თითოეული დეპარტამენტის ადმინისტრაციულ საჭიროებებზე ².

მინისტრთა კაბინეტი (CAO)

იაპონიის მინისტრთა კაბინეტთან დაარსდა ეკონომიკისა და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი, როგორც სტატისტიკის მწარმოებელი ერთ-ერთი ორგანიზაცია. იგი ატარებს ისეთ სტატისტიკურ კვლევებს, რომლებიც ძირითადად შეეხება მაკროეკონომიკურ ტენდენციებს; ატარებს სხვადასხვა ბიზნეს სექტორების მიმოხილვას და კვლევას (ფინანსთა სამინისტროსთან ერთად), ყოველთვიური სამომხმარებლო ბაზრის კვლევას, რომელიც მთელს იაპონიას მოიცავს. გარდა ამისა, CAO ამზადებს ძირითად სტატისტიკურ ინფორმაციას ეროვნული ანგარიშების სისტემის შედგენისათვის.

შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტრო (MIC)

შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტროს სტატისტიკის ბიუროს სტატისტიკური კვლევების დეპარტამენტს აქვს განსხვავებული ფუნქციები სხვა დანარჩენი ადმინისტრაციული ორგანიზაციებისგან, რომლებიც ამზადებენ სტატისტიკურ ინფორმაციას. ეს დეპარტამენტი ატარებს მოსახლეობის კვლევებს და სხვა კვლევებს, რომლებიც დაფუძნებულია ეროვნულ ტენდენციებზე. მთავარი კვლევებია: მოსახლეობის აღწერა, ეკონომიკის აღწერა, ბიზნეს საქმიანობის, შინამეურნეობათა და მიწების კვლევა, სამუშაო ძალის კვლევა, ოჯახების შემოსავლების და ხარჯების კვლევა, საცალო ფასების კვლევა. ეს ყველაფერი წარმოადგენს მთავარ ფუნდამენტურ სტატისტიკურ კვლევებს. სტატისტიკის ეროვნული ცენტრი, რომელიც 2003 წლის აპრილიდან გახდა გაერთიანებული სტატისტიკური ორგანო, ახდენს მოსახლეობის აღწერების პროგრამის შედგენას, ისევე როგორც სხვა სპეციალური სტატისტიკური კვლევების პროგრამების შედგენას, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა უწყებების მიერ.

ფინანსთა სამინისტრო (MOF)

მთავარი სტატისტიკური მონაცემები, რომელსაც სამინისტრო ამზადებს, არის

² Inventory of Fundamental Statistics (www.stat.go.jp/english).

სამრეწველო კორპორაციების ფინანსური სტატისტიკა, რომელიც მზადდება ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ინსტიტუტის სტატისტიკური კვლევითი დეპარტამენტის მიერ. ძირითადი სტატისტიკური სამუშაოებია: კერძო სექტორში ხელფასების სტატისტიკური კვლევა ეროვნული საგადასახადო სააგენტოს მიერ, საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, რომელიც მზადდება განბაჟების შემდგომი აუდიტის ადმინისტრაციული სტატისტიკის მიერ, ასევე საბაჟო და სატარიფო ბიუროს მიერ.

განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერების და ტექნოლოგიების სამინისტრო (MEXT)

ამ სამინისტროს სიცოცხლის გახანგრძლივების პოლიტიკის ბიუროს ანალიტიკური კვლევითი დაგეგმარების განყოფილება ამზადებს სტატისტიკას, რომელიც შეეხება სასწავლო ადმინისტრაციას. მთავარი სტატისტიკური მონაცემები მოიცავს სკოლების კომპლექსურ კვლევას, სკოლის, ჯანდაცვის სერვისების კვლევას, სკოლის მასწავლებლების კვლევას, სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ სხვა კვლევებს.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის სამინისტრო (MHL)

მთავარ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელსაც ეს სამინისტრო ამზადებს, წარმოადგენს მოსახლეობისა და სიცოცხლის სტატისტიკა, რომელიც მოიცავს მონაცემებს მოსახლეობის გამოკვლევებზე დაყრდნობით. ეს სამინისტრო ატარებს ყოვლისმომცველ სტატისტიკურ კვლევას საცხოვრებელი პირობების, სამედიცინო ინსტიტუტების (დაწესებულებების) სტატისტიკურ კვლევას, შრომის (დასაქმების) კვლევას და სახელფასო სტრუქტურის კვლევას. სამინისტრო ამზადებს ისეთ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანი საფუძველია სოციალური და ეკონომიკური მიზნებისთვის, როგორცაა ჯანდაცვა, კეთილდღეობა და შრომითი სტატისტიკა. ამ სამინისტროს სისტემაში ფუნქციონირებს მოსახლეობისა და სოციალური დაცვის კვლევის ეროვნული ინსტიტუტი. იგი ახორციელებს ისეთ საქმიანობას, როგორცაა მომავალი მოსახლეობის სტატისტიკური შეფასება და მოსახლეობის თეორიების კვლევა. რაც შეეხება ადგილობრივ მთავრობებს, ჯანდაცვის სტატისტიკურ სამმართველოებში არის სპეციალური სამსახურები, რომლებიც დაკომპლექტებულია სტატისტიკოსებით. პრეფექტურებში არსებული შრომითი ბიუროები ასევე მონაწილეობას იღებენ შესაბამის სტატისტიკურ კვლევებში.

სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და მეტყევეობის სამინისტრო (MAFF)

ყველაზე მნიშვნელოვანი სტატისტიკური სამუშაოები, რომლებსაც ახორციელებს ეს სამინისტრო (MAFF), არის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა

და მეთევზეობის აღწერა. გარდა ამისა, სამინისტრო ადგენს ფართო სპექტრს შემდეგი სტატისტიკისა: მარცვლეულის სტატისტიკური მიმოხილვა, ფერმერთა მენეჯმენტისა და ეკონომიკის მიმოხილვა და ზღვის თევზის პროდუქციის წარმოების მიმოხილვა. ზოგადად არსებობს სტატისტიკის დეპარტამენტები რეგიონალურ სასოფლო-სამეურნეო ადმინისტრაციულ ოფისებში და სასოფლო-სამეურნეო ოფისები, რომლებიც შეიქმნა თითოეული რეგიონის ადმინისტრაციაში.

ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო (METI)

უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური სამუშაოები, რომლებსაც ახორციელებს ეს სამინისტრო (METI), არის წარმოების აღწერა და ვაჭრობის აღწერა. ასევე აქ ფართო სპექტრია სტატისტიკისა, რომელიც მოიცავს იაპონური ბიზნესის სტრუქტურასა და საქმიანობას, გამოშვების მიმდინარე მიმოხილვას. ეკონომიკის, ვაჭრობისა და ინდუსტრიის რეგიონალური ბიუროები, რომლებიც შექმნილია თითოეულ რეგიონში, ატარებს ასევე სტატისტიკური კვლევების ნაწილს.

მიწების, ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის სამინისტრო (MLIT)

ეს სამინისტრო (MLIT) ამზადებს და აქვეყნებს მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას მიწების, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ტურიზმის, პორტების, ნავსადგურების, სამშენებლო სამუშაოების შესახებ. რეგიონის სატრანსპორტო ბიუროები წარმოადგენს MLIT-ის ფილიალებს. ეს ორგანიზაციები ატარებენ სტატისტიკურ კვლევებს სხვა კვლევებთან ერთად.

მთავრობის სხვა ორგანიზაციები

სტატისტიკურ მონაცემებს ამზადებს ასევე იაპონიის ყველა სამინისტრო, როგორცაა იუსტიციის სამინისტრო, გარემოს დაცვის სამინისტრო და სხვა. ამ მონაცემების უმრავლესობა ადმინისტრაციულ (საუწყებო) სტატისტიკებს წარმოადგენს. სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც მუშავდება ამა თუ იმ სამინისტროში, მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა სხვა სამინისტროს გამოსაყენებლად.

8.8. ადგილობრივი სტატისტიკური ორგანიზაციები და მათი წარმოშობა

1947 წლის ივლისში მთავრობის კაბინეტმა დაამტკიცა სპეციალური დოკუმენტი „ადგილობრივი სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ“,

რომელიც შეადგინა ადგილობრივმა სტატისტიკურმა ორგანიზაციებმა. 1947 წლის ფისკალურ წელს ამ პოლიტიკის ქვეშ შეიქმნა 4751 ადგილი პრეფექტურების დონეზე. გარდა ამისა, 11500 მომუშავე დაემატა მუნიციპალურ დონეზე. ამის შედეგად, ეროვნული მთავრობის ძირითადი სტატისტიკური კვლევების გადაცემა მოხდა ადგილობრივი მთავრობის მართველებისთვის. ამ გადაწყვეტილების მიზეზები იყო:

1. შესრულების ჰარმონიზაცია ცენტრალური მთავრობის სტატისტიკურ კვლევით საქმიანობას და ადგილობრივ ავტონომიებს შორის.
2. ადგილობრივი მთავრობების სტატისტიკური ორგანიზაციების გაუმჯობესება ცენტრალური მთავრობის დახმარებით.
3. სტატისტიკის შედგენის გაფართოების წახალისება ადგილობრივი მთავრობის მიერ.
4. ადგილობრივი მთავრობების ოფიციალური სტატისტიკის გაუმჯობესება ადგილობრივი ავტონომიების უფლებების გაზრდის მიზნით.

ადგილობრივმა სტატისტიკურმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს მთლიანად ქვეყანაში სტატისტიკური კვლევების ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

8.9. სტატისტიკური ფუნქციების დანაწილება ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის

იაპონიის მთავრობა პასუხისმგებლობას იღებს სტატისტიკური კვლევების დაგეგმვაზე, კვლევების დირექტივებისა და კვლევის წესების ჩამოყალიბებაზე, კითხვარების დიზაინზე, კვლევის სახელმძღვანელოების (ინსტრუქციების) შექმნაზე. ადგილობრივი მთავრობა ახორციელებს ისეთ კვლევით სამუშაოებს, რომლებიც მოიცავს კვლევის ობიექტების შერჩევას, ნუმერატორების დატრენინგებას, კვლევის სფეროების განსაზღვრას, კითხვარების გავრცელებას და შეგროვებას, მათ შეფასებას და მიღებული ინფორმაციის პირველად დამუშავებას და განზოგადებას ².

სტატისტიკური სისტემა ქვეყნის რეგიონებში:

ა) პრეფექტურები

ყველა პრეფექტურას აქვს სპეციალური სტატისტიკური სამმართველო, რომელიც, თავის მხრივ, პასუხისმგებელია სტატისტიკის წარმოებაზე. გარდა ამისა, სტატისტიკას ამზადებენ და იყენებენ სხვა ორგანიზაციებიც, როგორცაა

² Outline of Japanese Official Statistics

გუბერნატორის ადმინისტრაცია. მიუხედავად ამისა, სტატისტიკურ სამმართველოს უჭირავს ცენტრალური ადგილი სტატისტიკის ორგანიზაციებს შორის, სტატისტიკურ კვლევებში მათი მონაწილეობის მოცულობიდან და დასაქმებული ადამიანების რიცხოვნობიდან გამომდინარე, რომლებიც ასრულებენ სტატისტიკურ სამუშაოებს. პრეფექტურების სტატისტიკური დანაყოფები ახდენენ იმ სამუშაოების ცენტრალიზებულ დამუშავებას, რომელიც უკავშირდება იმ ძირითად კვლევებს, რომლებსაც ატარებენ სხვადასხვა სამინისტროები (CAO, MIC, METI, MAFF, MEXT, MHLW) და სხვ. ამ კვლევების ღირებულებას იხდიან შესაბამისი სამინისტროები.

გარდა ამისა, სტატისტიკური დანაყოფები, ადმინისტრაციული სამუშაოს გარდა, ახორციელებენ დამოუკიდებელ საქმიანობებს თითოეულ პრეფექტურაში, კერძოდ:

- I. ატარებენ სტატისტიკურ კვლევებს;
- II. ახორციელებენ პრეფექტურის მოსახლეობის რაოდენობრივ შეფასებას, მოქალაქეების შემოსავლების შეფასებას, პრეფექტურის ეკონომიკის პროგნოზირებას და სხვ.
- III. ახორციელებენ სტატისტიკური მონაცემებისა და მიმოხილვების გამოქვეყნებას, როგორცაა წელიწადული, სტატისტიკური კვლევების შედეგები და სხვ. გარდა ამისა, ისინი ატრენინგებენ დაქირავებულებს, სტატისტიკის დღეს აწყობენ სხვადასხვა დაჯილდოებით ცერემონიებს და სხვ.

ძირითადი სტატისტიკური კვლევები პრეფექტურებში

ინტენსივობა (პერიოდულობა)	სტატისტიკური კვლევის დასახელება
ყოველთვიურად	სამუშაო ძალის კვლევა, საცალო ფასების კვლევა, ოჯახის შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, პროდუქციის გამოშვების მიმდინარე კვლევა, მიმდინარე გაყიდვების კვლევა, შრომის ბაზრის კვლევა.
ყოველკვარტალურად	საწარმოების გამოკვლევა.
ყოველწლიურად	სკოლების კვლევა, სკოლისა და ჯანდაცვის სერვისის კვლევა, მრეწველობის მომსახურების შერჩევითი კვლევა.
ყოველ მე-5 წელს	თავისუფალი დროის გამოყენებისა და დასვენების გამოკვლევა.

სტატისტიკური სისტემა ქვეყნის რეგიონებში:

ბ) მუნიციპალიტეტები

მუნიციპალური მთავრობები ატარებენ დიდი მასშტაბის შემდეგ სტატისტიკურ კვლევებს:

პასუხისმგებელი ორგანიზაციები	სტატისტიკური კვლევის დასახელება
------------------------------	---------------------------------

MIC	მოსახლეობის აღწერა, ბიზნესის წამოწყების კვლევა, ბიზნეს საქმიანობის ეკონომიკური აღწერა, შინამეურნეობების და მიწების კვლევა, დასაქმებისა და უმუშევრის სტატუსის მქონეთა კვლევა, ფასების კვლევა, ოჯახების შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა.
MEXT	სკოლების კვლევა.
MAFF	სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის აღწერა.
METI	წარმოების აღწერა, გაყიდვების აღწერა.

სტატისტიკა ცენტრალური მთავრობის ფილიალებში

სტატისტიკური სტანდარტების პოლიტიკის დაგეგმვის გენერალური დირექტორი ახორციელებს გამოკვლევის გეგმების წინასწარ კონტროლს, რათა თავიდან აიცილოს დუბლირება, უზრუნველყოს სტატისტიკური სისტემის გაფართოება და განვითარება, შეამციროს რესპოდენტების პასუხისმგებლობა კვლევის პროცესში ².

კვლევის ჩამტარებელი (ფილიალი)	სტატისტიკური კვლევის დასახელება
რეგიონული საგადასახადო ბიურო	კერძო სექტორში ხელფასის სტატუსის კვლევა.
სოფლის მეურნეობის რეგიონული ადმინისტრაციული ოფისი	საზღვაო თევზის წარმოების კვლევა, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და მეთევზეობის აღწერა, ფერმერული მეურნეობების სტატისტიკური კვლევა, მარცვლეულის წარმოების კვლევა.
ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის რეგიონული ბიურო	წარმოების კვლევა, სარეზერვო წიაღისეულის სტატისტიკური კვლევა, გაზის წარმოების სტატისტიკური კვლევა, ენერჯის მოხმარების სტატისტიკური კვლევა.
ფინანსების ადგილობრივი ბიურო	სამრეწველო კორპორაციების კვლევა.
სატრანსპორტო ბიურო	გემთმშენებელთა და საინჟინრო კვლევა, მეზღვაურების შრომის კვლევა.
პრეფექტურების შრომის ბიურო	სახელფასო სტრუქტურის კვლევა.

² Role of the Director-General for Policy Planning (Statistical Standarts)

8.10. სტატისტიკის ნუმერატორები (აღმრიცხველები, რეგისტრატორები) და მათი მოვალეობები

იაპონიაში დიდ სტატისტიკურ კვლევებში მონაწილეობას იღებენ სპეციალურად მომზადებული პირები - აღმრიცხველები ან რეგისტრატორები, რომლებსაც იქ ნუმერატორებს უწოდებენ. იმისათვის, რომ გაიზარდოს სტატისტიკური ინფორმაციის სიზუსტე და მოცულობა, მათი ჩართვა ხდება ყველა დიდ კვლევებში მუნიციპალურ დონეზე, როგორცაა მოსახლეობის აღწერა, ეკონომიკის აღწერა, სოფლის მეურნეობისა და მეტყვეობის აღწერა, საწარმოების აღწერა და სხვ. არსებობს სტატისტიკური კვლევები, რომლებსაც უშუალოდ ნუმერატორები სისტემატურად ატარებენ. ესენია: ოჯახის შემოსავლებისა და ხარჯების კვლევა, საცალო ფასების კვლევა, სამუშაო ძალის კვლევა, საწარმოების კვლევა. ეს ფაქტები მოწმობს იმას, რომ ნუმერატორები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს სტატისტიკურ კვლევებში.

ნუმერატორებს გააჩნიათ ძირითადად ორი ტიპის მოვალეობები, კერძოდ:

I. ნუმერატორები ინტერვიუს იღებენ კვლევის ობიექტებიდან და თვითონ ავსებენ კითხვარებს.

II. ნუმერატორები ავრცელებენ და აგროვებენ კითხვარებს (კვლევის ობიექტები თვითონვე ავსებენ კითხვარებს).

სტატისტიკურ კვლევებში იაპონიაში ძირითადად მეორე ტიპი გამოიყენება.

ნუმერატორთა სტატუსი. საჯარო მოსამსახურეები, რომლებიც დაქირავებულნი არიან ეროვნული მთავრობის მიერ, ენიჭებათ იგივე საჯარო მოსამსახურის სტატუსი, რომელსაც გასცემს ცენტრალური ხელისუფლება, პრეფექტურები, მუნიციპალური მთავრობები. იმის გამო, რომ მათი სამუშაო დროებითია, ისინი განიხილებიან, როგორც დროებითი საჯარო მოსამსახურეები.

ნუმერატორების უმრავლესობა, რომლებიც მოსახლეობის აღწერაში იღებენ მონაწილეობას, არიან ეროვნული მთავრობის საჯარო მოსამსახურეები; ხოლო ნუმერატორები, რომლებიც ჩართულები არიან ყველა სხვა სტატისტიკურ კვლევებში, არიან ადგილობრივი მთავრობის საჯარო მოსამსახურეები.

სპეციალური ხასიათის მოვალეობებიდან გამომდინარე, მათი სტატუსი განსხვავებულია სხვა საჯარო მოსამსახურეებისაგან. მაგალითად, ისინი განთავისუფლებულნი არიან შეზღუდვებისგან მოგებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში. ჩვეულებრივ საჯარო მოსამსახურეებს აქვთ გარკვეული შეზღუდვები და აკრძალვები ბიზნესში მონაწილეობისათვის.

ნუმერატორები ხელფასს იღებენ გაწეული შრომის მოცულობიდან გამომდინარე და მათი ანაზღაურება დამოკიდებულია ჩატარებული კვლევის დღეების რაოდენობაზე. მათი დიდი რაოდენობა თვითდასაქმებულია, ხოლო ზოგიერთი მათგანი სხვაგანაც მუშაობს - მთავრობის, კორპორაციების მიერ არიან დაქირავებულები და ა. შ.

8.11. იაპონიის წვლილი გლობალურ სტატისტიკურ კავშირში

1956 წელს იაპონია გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი და 1964 წელს კი - OECD წევრი. აქედან მოყოლებული, იაპონია ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ყველა მიმართულებით. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორისაა გაერთიანებული ერების სტატისტიკის სამმართველო, აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკისა და სოციალური კომიტეტი და სხვ.

1970 წელს ტოკიოში ჩამოყალიბდა **აზია-წყნარი ოკეანის სტატისტიკური ინსტიტუტი (SIAP)** იაპონიის მთავრობის მხარდაჭერით². იგი არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთადერთი საერთაშორისო ინსტიტუტი, რომელიც გვთავაზობს სტატისტიკურ სწავლებას (კვალიფიკაციის ამაღლებას), რაც მიზნად ისახავს სტატისტიკოსების მოწვევას სხვადასხვა რეგიონიდან. 2012 წლის მდგომარეობით, ამ ინსტიტუტში სწავლება და სტაჟირება უკვე გაიარა 12 ათასამდე სტატისტიკოსმა 127 ქვეყნიდან (მათ შორის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რამდენიმე თანამშრომელმაც), რომლებიც აქტიურად მუშაობენ წამყვან სტატისტიკოსებად თავიანთი ქვეყნების ეროვნული სტატისტიკის სამსახურებში.

1962 წელს იაპონია გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის კომისიის წევრი და დიდი წვლილი შეიტანა საერთაშორისო სტატისტიკის განვითარებაში². ასევე, იაპონიის სტატისტიკის ბიუროს მთავარი დირექტორი არის საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის წევრი, რომელიც შეიქმნა 1885 წელს და მისი მთავარი ოფისი მდებარეობს ჰააგაში. ამ ინსტიტუტის წევრები უმეტესად არიან ნაციონალური სტატისტიკის სამსახურის თანამშრომლები და მეცნიერები სტატისტიკის სფეროდან. იაპონიის სტატისტიკის სამსახური მონაწილეობს საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის 2-წლიანი მსოფლიო კონგრესების (სესიების) ციკლში 1899 წლიდან და უკვე მასპინძლობდა სამ სესიას (კონგრესს): 1930 წელს მე-19-ე სესიას, ასევე 1960 და 1987 წლებში.

იაპონიის მთავრობა სთავაზობს მრავალფეროვან სტატისტიკურ მონაცემებსა და ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებს და კვლევით ინსტიტუტებს მათი მოთხოვნების შესაბამისად. შესაბამისი ვალდებულებების ფარგლებში სთავაზობს მონაცემებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამმართველოს, ასევე ESCAD და OECD. მთავრობა აგროვებს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულ ინფორმაციას და ავრცელებს მათ საზოგადოებაში ფართოდ გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, ამ საკითხთან დაკავშირებით იაპონიას აქვს საერთაშორისო შედარებითი პროგრამა, რომლითაც ახდენს მნიშვნელოვან შედარებებს მშპ-ს მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც ხდება გაანგარიშება მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის. იაპონიის მთავრობა მონაწილეობას იღებს მსოფლიო გლობალურ პროგრამებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

² Statistical Institute for Asia and the Pacific (www.stat.go.jp/english).

² International Cooperation in Statistics (www.stat.go.jp/english).

პირველი რაუნდიდან, ანუ 1980 წლიდან. ასევე, იაპონია შეესაბამება „სპეციალურ მონაცემთა სტანდარტებს“, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1996 წელს, რათა უზრუნველყოს ეკონომიკური და ფინანსური სტატისტიკის მონაცემების დროული გავრცელება. იაპონიის მთავრობამ 1997 წელს შექმნა ეროვნული შემაჯამებელი ვებ-გვერდი, რომელიც წარმოადგენს და ავრცელებს მრავალფეროვან უახლეს ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება SDDS-ის სტანდარტებს. ერთ-ერთი ასეთი ინფორმაციაა საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა იმ მრავალრიცხოვანი ქვეყნების მიხედვით, რომლებთანაც იაპონიას აქვს სავაჭრო ურთიერთობა. მათ შორის არის საქართველოც (იხილეთ შემდეგი ცხრილი):

ცხრილი 8.2. საქართველოსა და იაპონიას შორის სავაჭრო ურთიერთობების დინამიკა და სტრუქტურა

	2000	%	2005	%	2010	%	2012	%
სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა (მლნ აშშ დოლარი)	7,7	100	9,8	100	178,6	100	318,4	100
მათ შორის:								
ექსპორტი	0,4	4,94	1,5	14,74	8,2	4,58	5,8	1,81
იმპორტი	7,3	95,06	8,3	85,26	170,4	95,42	312,6	98,19

წყარო: ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ საქსტატისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, იაპონია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. 2012 წელს 2000 წელთან შედარებით სავაჭრო ბრუნვის მთლიანი მოცულობა საქართველოსა და იაპონიას შორის ძლიერ გაიზარდა – თითქმის 42-ჯერ. თუმცა, ეს მოხდა ძირითადად იმპორტის ხარჯზე, რადგან მისმა მატებამ შეადგინა 305,3 მილიონი, ხოლო ექსპორტის მატებამ კი – 5,4 მილიონი. მისი ხვედრიწილი სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში 2012 წელს სულ რაღაც 1,8 პროცენტი იყო.

8.12. ტესტები

1. ოფიციალური სტატისტიკის ორგანიზაცია იაპონიაში:

- ა) დეცენტრალიზებულია;
- ბ) ცენტრალიზებულია;
- გ) შერეულია;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

2. ოფიციალური სტატისტიკის პირველი ორგანო იაპონიაში დაარსდა:

- ა) 1871 წელს იაპონიის ფინანსთა სამინისტროსთან;
- ბ) 1873 წელს იაპონიის პრემიერ-მინისტრის კაბინეტთან;
- გ) 1877 წელს იაპონიის ფინანსთა სამინისტროსთან;
- დ) 1877 წელს შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტროსთან.

3. იაპონიაში სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი შეიქმნა:

- ა) 1949 წლის მაისში;
- ბ) 1946 წლის მაისში;
- გ) 1949 წლის ივნისში;
- დ) 1956 წლის ივნისში.

4. იაპონიაში სტატისტიკური სტანდარტების სამმართველო არის:

- ა) ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში;
- ბ) პრემიერ-მინისტრის კაბინეტთან;
- გ) ეკონომიკის, ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში;
- დ) შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტროს დაქვემდებარებაში.

5. იაპონიაში სტატისტიკის შესახებ პირველი კანონი მიიღეს:

- ა) 1947 წელს; ბ) 1949 წელს; გ) 1948 წელს; დ) 1946 წელს.

6. იაპონიაში სტატისტიკის შესახებ მეორე კანონი მიიღეს:

- ა) 2004 წელს; ბ) 1999 წელს; გ) 2007 წელს; დ) 1996 წელს.

7. იაპონიაში სტატისტიკის პირველი კანონის მთავარი პრინციპი იყო:

- ა) „სტატისტიკა ადმინისტრაციისთვის“;
- ბ) „სტატისტიკური ინფორმაცია ხალხისთვის“;
- გ) „სტატისტიკური ინფორმაცია მთავრობისთვის“;
- დ) „სტატისტიკა საზოგადოებისთვის“.

8. იაპონიაში სტატისტიკის მეორე კანონის მთავარი პრინციპი იყო:

- ა) „სტატისტიკა ადმინისტრაციისთვის“;
- ბ) „სტატისტიკური ინფორმაცია ხალხისთვის“;
- გ) „სტატისტიკური ინფორმაცია მთავრობისთვის“;
- დ) „სტატისტიკური ინფორმაცია საზოგადოებისთვის“.

9. იაპონიაში სტატისტიკის დღე დაწესდა:

- ა) 2004 წელს;
- ბ) 1993 წელს;
- გ) 2001 წელს;
- დ) 1973 წელს.

10. იაპონიაში სტატისტიკის დღე ტარდება ყოველი წლის:

- ა) 18 ოქტომბერს;
- ბ) 18 ნოემბერს;
- გ) 18 სექტემბერს;
- დ) 18 დეკემბერს.

11. იაპონიაში სტატისტიკის დღესთან დაკავშირებით სტატისტიკის პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება სავალდებულოა:

- ა) როგორც კერძო, ისე სამთავრობო ორგანიზაციებისთვის;
- ბ) არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებისთვის;
- გ) სამთავრობო ორგანიზაციებისთვის;
- დ) სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

12. იაპონიაში მთავარ საკოორდინაციო მექანიზმს სტატისტიკურ სისტემაში წარმოადგენს:

- ა) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- ბ) სტატისტიკური სტანდარტების გენერალური დირექტორის მთავარი სამმართველო დაგეგმვის პოლიტიკაში;
- გ) იაპონიის მთავრობის სტატისტიკის კომისია;
- დ) იუსტიციის სამინისტრო.

13. იაპონიაში ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციებს შორის კოორდინაციას უზრუნველყოფს:

- ა) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- ბ) პრეფექტურების ადმინისტრაცია;
- გ) იაპონიის მთავრობის სტატისტიკის კომისია;
- დ) სტატისტიკური სტანდარტების გენერალური დირექტორის მთავარი სამმართველო დაგეგმვის პოლიტიკაში.

14. იაპონიაში ძირითად სტატისტიკურ ინფორმაციას ეროვნული ანგარიშების სისტემის შესადგენად ამზადებს:

- ა) სტატისტიკური სტანდარტების გენერალური დირექტორის მთავარი სამმართველო;
- ბ) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- გ) იაპონიის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ეკონომიკისა და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი;
- დ) იაპონიის მთავრობის სტატისტიკის კომისია.

15. იაპონიაში მოსახლეობის აღწერას, სამუშაო ძალის კვლევას, შინამეურნეობების და მიწების კვლევას ატარებს:

- ა) შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტროს სტატისტიკური კვლევების დეპარტამენტი;
- ბ) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- გ) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის სამინისტრო;
- დ) იაპონიის მთავრობის სტატისტიკის კომისია.

16. იაპონიაში ბიზნეს საქმიანობის, ოჯახების შემოსავლების და ხარჯების კვლევას ატარებს:

- ა) ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო;
- ბ) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- გ) ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის სამინისტრო;
- დ) შინაგან საქმეთა და კომუნიკაციის სამინისტროს სტატისტიკური კვლევების დეპარტამენტი.

17. როდის დაამტკიცა იაპონიის მთავრობის კაბინეტმა სპეციალური დოკუმენტი „ადგილობრივი სტატისტიკური სისტემის ჩამოყალიბების შესახებ“?

- ა) 1947 წლის ივლისში;
- ბ) 1946 წლის ივნისში;
- გ) 1949 წლის ივნისში;
- დ) 1951 წლის ივლისში.

18. იაპონიის რეგიონებში ოფიციალური სტატისტიკის მთავარი ორგანოა:

- ა) სტატისტიკური კვლევების დეპარტამენტი;
- ბ) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- გ) პრეფექტურის სტატისტიკური სამმართველო;
- დ) იაპონიის მთავრობის სტატისტიკის კომისია.

19. ძირითადი სტატისტიკური კვლევები პრეფექტურებში ტარდება:

- ა) ყოველთვიურად და ყოველკვარტალურად;
- ბ) საჭიროების მიხედვით;
- გ) წელიწადში ორჯერ;
- დ) ყველა პასუხი სწორია.

20. პრეფექტურებში სამუშაო ძალისა და საცალო ფასების სტატისტიკური კვლევა ტარდება:

- ა) ყოველთვიურად;
- ბ) ყოველკვარტალურად;
- გ) წელიწადში ორჯერ;
- დ) საჭიროების მიხედვით.

21. პრეფექტურებში შრომის ბაზრისა და ოჯახის შემოსავლებისა და ხარჯების სტატისტიკური კვლევა ტარდება:

- ა) ყოველთვიურად;
- ბ) ყოველკვარტალურად;
- გ) წელიწადში ორჯერ;
- დ) საჭიროების მიხედვით.

22. პრეფექტურებში სკოლებისა და ჯანდაცვის სერვისის სტატისტიკური კვლევა ტარდება:

- ა) წელიწადში ორჯერ;
- ბ) ყოველკვარტალურად;
- გ) ყოველწლიურად;
- დ) საჭიროების მიხედვით.

23. პრეფექტურებში თავისუფალი დროის გამოყენებისა და დასვენების სტატისტიკური კვლევა ტარდება:

- ა) წელიწადში ორჯერ;
- ბ) ყოველ ხუთ წელიწადში;
- გ) ყოველწლიურად;
- დ) ყოველ ორ წელიწადში.

24. იაპონიაში სახელფასო სტრუქტურის სტატისტიკურ კვლევას ატარებს:

- ა) სტატისტიკური კვლევების დეპარტამენტი;
- ბ) სტატისტიკის კვლევითი ინსტიტუტი;
- გ) პრეფექტურების სტატისტიკური სამმართველო;
- დ) პრეფექტურების შრომის ბიურო.

25. იაპონიაში საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევა ხორციელდება:

- ა) ყოველკვარტალურად;
- ბ) ყოველთვიურად;
- გ) ყოველწლიურად;
- დ) წელიწადში ორჯერ.

26. აზია-წყნარი ოკეანის სტატისტიკური ინსტიტუტი ჩამოყალიბდა:

- ა) ტოკიოში 1970 წელს;
- ბ) სიდნეიში 1990 წელს;
- გ) ტოკიოში 1980 წელს;
- დ) პეკინში 1970 წელს.

27. როდის გახდა იაპონია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის კომისიის წევრი?

- ა) 1952 წელს; ბ) 1993 წელს; გ) 1962 წელს; დ) 1973 წელს.

28. როდის გახდა იაპონია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის კომისიის წევრი?

- ა) 1952 წელს; ბ) 1993 წელს; გ) 1962 წელს; დ) 1973 წელს.

29. რომელი წლიდან მონაწილეობს იაპონია საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის მსოფლიო კონგრესების ციკლში?

- ა) 1962; ბ) 1899; გ) 1972; დ) 1893.

30. რა პერიოდულობით ტარდება საერთაშორისო სტატისტიკური ინსტიტუტის მსოფლიო კონგრესები?

- ა) ყოველ სამ წელიწადში;
ბ) ყოველ ხუთ წელიწადში;
გ) ყოველწლიურად;
დ) ყოველ ორ წელიწადში.

31. იაპონიაში ნუმერატორებს უწოდებენ:

- ა) დიდ სტატისტიკურ კვლევებში მონაწილე სპეციალურად მომზადებულ პირებს;
ბ) მცირე სტატისტიკურ კვლევებში მონაწილე სპეციალურად მომზადებულ პირებს;
გ) მხოლოდ მოსახლეობის აღწერაში მონაწილე სპეციალურად მომზადებულ პირებს;
დ) ყველა პასუხი სწორია.

32. იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობის მთლიანმა მატებამ 2007-2010 წლებში შეადგინა:

- ა) 1,645 ათასი; ბ) 1,274 ათასი; გ) 1,723 ათასი; დ) 1,840 ათასი.

33. იაპონიის მოსახლეობის რიცხოვნობის საშუალოწლიურმა მატებამ 2007-2010 წლებში შეადგინა:

- ა) 849 ათასი; ბ) 679 ათასი; გ) 748 ათასი; დ) 574 ათასი.

34. იაპონიის მოსახლეობის მთლიან რიცხოვნობაში 2010 წელს ქალების ხვედრიწილი მეტი იყო მამაკაცების ანალოგიურ მაჩვენებელზე (პროცენტული პუნქტით):

- ა) 2,7-ით; ბ) 2,6-ით; გ) 2,9-ით; დ) 2,5-ით.

35. იაპონიაში მამაკაცების რიცხოვნობა 2010 წელს ნაკლები იყო ქალებზე:

- ა) 4,1 მილიონით; ბ) 1,71 მილიონით; გ) 3,4 მილიონით; დ) 2,1 მილიონით.

36. 2010 წელს იაპონიის მშპ-ის საშუალო მოცულობამ ერთ ადამიანზე შეადგინა (აშშ დოლარი):

- ა) 42859; ბ) 48945; გ) 45007; დ) 40893.

37. 2010 წელს 2007 წელთან შედარებით, იაპონიის მშპ-ის საშუალო მოცულობა ერთ ადამიანზე:

- ა) გაიზარდა 5347 დოლარით;
- ბ) შემცირდა 8347 დოლარით;
- გ) გაიზარდა 8377 დოლარით;
- დ) დაახლოებით იგივე დარჩა.

38. 2010 წელს იაპონიაში უმუშევრობის დონე საფრანგეთთან შედარებით იყო:

- ა) თითქმის 2-ჯერ მაღალი;
- ბ) თითქმის 2-ჯერ დაბალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

39. 2010 წელს იაპონიაში უმუშევრობის დონე აშშ-სთან შედარებით იყო:

- ა) დაახლოებით 2-ჯერ დაბალი;
- ბ) დაახლოებით 2-ჯერ მაღალი;
- გ) დაახლოებით თანაბარი;
- დ) არაშესადარისი.

40. 2005-2012 წლებში საქართველოდან იაპონიაში საქონლის ექსპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 3,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 3,5-ჯერ;
- გ) გაიზარდა 3,9-ჯერ;
- დ) უცვლელი დარჩა.

41. 2005-2012 წლებში საქართველოში იაპონიიდან საქონლის იმპორტის მოცულობა:

- ა) შემცირდა 31,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 31,5-ჯერ;
- გ) შემცირდა 32,5-ჯერ;
- დ) გაიზარდა 37,7-ჯერ.

42. საქართველოსა და იაპონიას შორის 2005-2012 წლებში ვაჭრობის მთლიანი მოცულობა:

- ა) გაიზარდა 32,5-ჯერ;
- ბ) გაიზარდა 33,6-ჯერ;
- გ) შემცირდა 33,0-ჯერ;
- დ) შემცირდა 22,6-ჯერ.

43. 2005-2012 წლებში საქართველოსა და იაპონიას შორის ვაჭრობის მთლიანი მოცულობაში ექსპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 11,47 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 10,31 პუნქტით;

- გ) შემცირდა 12,93 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 11,14 პუნქტით.

44. 2005-2012 წლებში საქართველოსა და იაპონიას შორის ვაჭრობის მთლიან მოცულობაში იმპორტის ხვედრიწილი:

- ა) შემცირდა 16,07 პუნქტით;
- ბ) გაიზარდა 11,47 პუნქტით;
- გ) შემცირდა 12,29 პუნქტით;
- დ) გაიზარდა 12,93 პუნქტით.

45. საქართველოს სავაჭრო ბალანსი 2005-2012 წლებში იაპონიასთან იყო:

- ა) უარყოფითი; ბ) დადებითი; გ) ნულოვანი; დ) არაშესადარისი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასლამაზიშვილი ნ. საერთაშორისო სტატისტიკა. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2010.
2. გაბიაშვილი ბ. სტატისტიკის თეორია. სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2005.
3. გაბიაშვილი ბ. ეკონომიკური სტატისტიკა. სახელმძღვანელო, გამომც. „ზეონი“, თბ., 2006.
4. გაბიაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. სახელმძღვანელო, გამომც. „ზეონი“, თბ., 2011.
5. გელაშვილი ს. ეკონომიკური პროცესების სტატისტიკური პროგნოზირება. სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.
6. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირება თანამედროვე ბიზნესში. მონოგრაფია, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.
7. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინკლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. ლექციების კურსი (ელექტრონული ვერსია), თსუ, 2013.
8. გელაშვილი ს., მუჩიაშვილი მ., მაისურაძე ი. მაკროეკონომიკური სტატისტიკა. დამხმარე სახელმძღვანელო (ელექტრონული ვერსია), თსუ, 2012.
9. გელაშვილი ს. სტატისტიკური პროგნოზირების საერთაშორისო გამოცდილება (აშშ-ის და საფრანგეთის მაგალითზე). საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV, თბ., 1998.
10. კბილაძე დ., აბესაძე ნ., მეტრეველი შ. ეკონომიკური სტატისტიკა. სახელმძღვანელო, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2007.
11. მარშავა ქ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა (ელექტრონული ვერსია). თბ., 2012.
12. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. სტატისტიკის თანამედროვე პრობლემები. გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012.
13. მარშავა ქ., მინდორაშვილი მ. ეროვნულ ანგარიშთა სისტემა/თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. თსუ-ს გამომც., თბ., 2009.
14. ნაჩშიასი ჩ. ფ., ლეონ-გერერო ა. სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის (თარგმანი ინგლისურიდან). თსუ-ს გამომც., თბ., 2012.
15. საერთაშორისო ინდექსები და საქართველო (იხ. www.nplg.gov.ge)
16. სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის. დამხმარე სახელმძღვანელო, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2012.

17. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2011.
18. ხმალაძე მ. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. სახელმძღვანელო, მე-2 შვესებული და გადამუშავებული გამოცემა. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2011.
19. ხმალაძე მ. დემოგრაფია. მონოგრაფია. გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2010.
20. Ковалевский Г. В., Селиванов В. М. Статистика зарубежных стран. Харьков, 2002.
21. Ковалевский Г. В. Статистика. Харьков, 2002.
22. Экономическая статистика. Учебник (под. ред. Ю. Н. Иванова, ИНФРА. – М., 2007.
23. Bamberg G., Baur F. Statistik. 12. Auflage. - München, 2002.
24. Bley Müller J. Statistik für Wirtschaftswissenschaftler. 16. Auflage. Vahlen, 2012.
25. Essentials of Statistics for Business and Economics. David R.R. Anderson, Dennis J. Sweeney, Thomas Arthur Williams, 2005.
26. Grundausbildung in Statistik für Wirtschaftswissenschaftler. Autorenkollektiv. Osnabrück, 2012.
27. Hippmann H.-D. Statistik für Wirtschafts- und Sozialwissenschaftler. 2., korrigierte Auflage. – Stuttgart, 1997.
21. John, V. Geschichte der Statistik. Stuttgart, 1884.
21. Spicht. Internationale Wirtschafts- und Sozialstatistik. 2. Auflage. München, 1999.
30. Strategie- und Programmplan für die Jahre 2012 bis 2016. Statistisches Bundesamt, Wiesbaden, 2012.
31. Zwer, R . Internationale Wirtschafts- und Sozialstatistik. 2. Auflage. Oldenbourg, 1986
32. [www. geostat.ge](http://www.geostat.ge)
33. [www. fedstats.gov](http://www.fedstats.gov)
34. [www. destatis.de](http://www.destatis.de)
35. [www. statssa.gov.za](http://www.statssa.gov.za)
26. [www. statcan.gc.ca](http://www.statcan.gc.ca)
27. [www. istat.it](http://www.istat.it)
28. [www. abs.gov.au](http://www.abs.gov.au)
29. [www. cbs.nl](http://www.cbs.nl)
40. [www. mospi.nic.in](http://www.mospi.nic.in)
41. [www. nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)
42. [www. insee.fr](http://www.insee.fr)
43. [www. ensae.fr](http://www.ensae.fr)
44. [www. lecepe.fr](http://www.lecepe.fr)
45. [www. unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/dyb2011.htm](http://www.unstats.un.org/unsd/demographic/products/dyb/dyb2011.htm)
46. [www. gfmag.com/component/content/article/119-economic-data/12384-worlds-unemployment-ratescom.html#axzz2RO40fLJO](http://www.gfmag.com/component/content/article/119-economic-data/12384-worlds-unemployment-ratescom.html#axzz2RO40fLJO)